

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

გიორგი ჯიქია



ტერორიზმის დაფინანსების მოდელები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გორაშვილი

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი, სამართლის
დოქტორი

ნაშრომი წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

თბილისი 2019

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურები.....	3
შესავალი.....	4
თავი 1. ტერორიზმი როგორც საერთაშორისო მოვლენა, მისი დაფინანსების გზები და წყაროები.....	6
1.1 საერთაშორისო ტერორიზმის ცნება და თავისებურებები.....	6
1.2 ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურა, დაფინანსების წყაროები.....	13
1.3 ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების მოდელები.....	17
თავი 2. საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი როლი ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში.....	21
2.1 საერთაშორისო ორგანიზაციების კომპეტენცია ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში.....	24
2.2 საერთაშორისო სისტემა ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში.....	26
2.3 პრევენციული ზომების ეფექტურობის შეფასება.....	28
თავი 3. საქართველოს მონაწილეობა ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში	
3.1 საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში.....	32
3.2 საერთაშორისო ნორმები ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში და მისი ასახვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.....	38
თავი 4. დასკვნა.....	44
გამოყენებული ლიტერატურა.....	47

გამოყენებული აბრევიატურები:

1. სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი;
2. ე.წ - ეგრეთ წოდებული;
3. ე.ი - ესე იგი;
4. გვ. - გვერდი;
5. სხვ. - სხვა;
6. აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები;
7. გამომც. - გამომცემლობა;
8. თბ. - თბილისი;
9. მუხ. - მუხლი;
10. FATF – Financial Action Task Force;
11. Farc-ep - Revolutionary armed forces of Colambia;
12. ELN – National liberation army;
13. IRA – Irish Republican Army;
14. SAARC – South Asian Association for regional Cooperation;
15. OAS – Organization of American States;
16. OIC – Organisation of Islamic Cooperation;
17. OECD – Organisation for Economic Cooperation and Development;
18. Ст. – страница;

შესავალი

ტერორიზმთან ბრძოლა მსოფლიო ქვეყნების უმნიშვნელოვანესი მიზანი და პრიორიტეტია, ვინაიდან წარმოადგენს თანამედროვეობის ყველაზე საშიშ და ძნელად შესაცნობ მოვლენას. ტერორისტულ აქტებს მოყვება ადამიანების მასობრივი მსხვერპლი, ახდენს ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ხალხის მასებზე, ხელს უწყობს მტრობის გაღვივებას სახელმწიფოებს შორის, პროვოცირებას უკეთებს ომის დაწყებას და უნდობლობის და ზიზღის გაღვივებას სხვადასხვა სოციალურ და ნაციონალურ ჯგუფებს შორის.

აღნიშნულ პრობლემას არაერთი კვლევა მიემდგნა, როგორც ადგილობრივი ისე საზღვარგარეთის ავტორების, განსაკუთრებით მათი რაოდენობა გაიზარდა ბოლო წლებში.

საკვლევი თემის აქტუალურობა. ტერორიზმს გააჩნია ღრმა ისტორიული ფესვები, თუმცა რეალური გასაქანი მიეცა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. იგი შეიძლება XXI საუკუნის შავ ჭირად შეფასდეს. სტატისტიკის მიხედვით, ორ დღეში ერთხელ ხდება ტერაქტი, რის შედეგადაც ხდება უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვა. ყოველწლიურად იმატებს ტერაქტების რიცხვი, იზრდება მსხვერპლთა რაოდენობა და აგრესია, იზრდება ტერორისტული ორგანიზაციების მომზადების დონეც, რაც გამოიხატება იმაში, რომ ყოველი მომდევნო ტერორისტული აქტი წინაზე საშინელია.

დღესდღეობით ტერორიზმის პრობლემა წარმოადგენს აქტუალურ საკითხს ყველა ქვეყანაში. ის წარმოადგენს დიდ საფრთხეს ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებები და დეტერმინანტები, რომლის შედეგადაც ტერორიზმი ვითარდება და მისი მამუტაბები გამუდმებით იზრდება. სწორედ ასეთი დეტერმინანტი არის ტერორიზმის დაფინანსება. გლობალიზაციასთან ერთად ტერორიზმის დაფინანსება მსოფლიო მამუტაბზე გავიდა და გახდა ტრანსნაციონალური მოვლენა და ამასთან ერთად მსოფლიო მამუტაბის პრობლემაც. აქედან გამომდინარე ტერორიზმის დაფინანსების მოდელების შესწავლა დროული და აქტუალურია.

შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმი ეს არის მეთოდი, რის საფუძველზეც ორგანიზებული ჯგუფი ან პარტია ცდილობს მიაღწიოს მის მიზანს, სისტემატიური ძალადობის გზით. ტერორიზმი მისი გამოვლინების ნებისმიერ ფორმაში წარმოადგენს ერთ-ერთ საშიშ, არაპროგნოზირებად და საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მორალური პრობლემის შედეგს. თუ ადრე ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება ხდებოდა ამა თუ იმ ქვეყნის მიერ და მათ ინტერესებს იცავდა, ეხლა აღნიშნული ორგანიზაციები ხშირად მოქმედებენ დამოუკიდებლად.

ტერორისტული ორგანიზაციები მოქმედებენ, როგორც დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყნებში, ისე ქვეყნებში, სადაც ძველი საპარლამენტო ტრადიციებია.

ტერორიზმის გამოვლინების მაშტაბის და სისასტიკის გათვალისწინებით, აუცილებელია მოხდეს მის წინააღმდეგ შეუჩერებელი ბრძოლა, პირველ რიგში სამართლებრივი გზებით. იმის გათვალისწინებით, რომ ტერორიზმი ამოუწურავი თემაა და თანამედროვეობის „შავ ჭირს“ წარმოადგენს, რომელსაც მსოფლიო ქვეყნები და მათ შორის საქართველოც ებრძვის სხვადასხვა მეთოდებით, ამ თემის კვლევის აქტუალობას ადასტურებს. ამასთან, ტერორიზმი - ეს არის განსაკუთრებით საშიში ქმედება, ვინაიდან დამნაშავე არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოებას. კერძოდ, აღნიშნული სახის დანაშაული მიმართულია არა ერთი პირის ან პირთა ჯგუფის, არამედ მთელი საზოგადოების მიმართ.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია, მოხდეს შემდეგი საკითხების განხილვა:

- საერთაშორისო ტერორიზმის თავისებურებების განსაზღვრა და მისი დაფინანსების წყაროები ;
- საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში და მათ მიერ მიღებული ზომების ეფექტურობა;
- საქართველოს მონაწილეობა და თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით;

კვლევის ამოცანა. კვლევის ამოცანაა მოხდეს ტერორიზმის დაფინანსების წყაროების და ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდის შესწავლა და საქართველოში დანერგილი ღონისძიებების განხილვა ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულეებით.

საკვლევი თემის მეცნიერული დამუშავების დონე. კვლევისთვის მოხდა სხვადასხვა პუბლიკაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების, FATF-ის რეკომენდაციების და ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა მეცნიერების ნაშრომების განხილვა.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 40 გვერდს. შედგება შესავლის, 4 თავის , 8 ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომში მითითებულია გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ჩამონათვალი, მათ შორის ინტერნეტის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისი ინტერნეტ მისამართი (ე.წ. ლინკი) .

თავი 1. ტერორიზმი როგორც საერთაშორისო მოვლენა, მისი დაფინანსების გზები და წყაროები

1.1. საერთაშორისო ტერორიზმის ცნება და თავისებურებები

დღეისთვის ტერორიზმის კვლევის ერთ ერთ ფუნდამენტურ პრობლემას წარმოადგენს ტერორიზმის განმარტების და დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მოხდეს იმ გამოკვეთილი კრიტერიუმების დადგენით, რომელიც მოგვცემს საშუალებას გამოვარჩიოთ ტერორიზმი სხვა სახის საზოგადოებისთვის საშიში ხელყოფისაგან.

ტერმინი „ტერორიზმი“ პირველად გამოყენებული იქნა 1795 წელს საფრანგეთში ე.წ. „ტერორით მმართველობის“ (regime de la terreur) პერიოდში. ტერორიზმი არ არის ერთმნიშვნელოვნად განმარტებული მსოფლიოში, თუმცა ჩამოყალიბდა გარკვეული კრიტერიუმები, რომელსაც ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობა ეყრდნობა და გვეხმარება როგორც ტერორიზმის წარსული ისტორიული ეტაპების, ისე თანამედროვე ეტაპის არსის და თავისებურებების გარკვევაში.¹

სიტყვა „Terrere“ (ტერერე) ლათინურად დაშინებას ნიშნავს. Terrere-დან არის ნაწარმოები ფრანგული სიტყვა terreur. ფრანგული განმარტებითი ლექსიკონი ტერორიზმს განმარტავს, როგორც „რევოლუციური ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობრივი აქტების ერთობლიობას, რაც ტერორიზმის მეშვეობით მიზნად ისახავს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას.“ ტერორიზმადაა ასევე მიჩნეული „სახელმწიფოს მიერ დამყარებული ძალადობრივი რეჟიმი“²

ტერორიზმის მრავალი განმარტება არსებობს, მაგრამ მათგან არცერთი არ წარმოადგენს კლასიკურ განმარტებას. კერძოდ, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყენებულია განსაზღვრება, რომლის მიხედვით, ტერორიზმი არის „სუბნაციონალური ჯგუფების ან ფარული აგენტების მიერ წინასწარ მოფიქრებული და სამოქალაქო შეუიარაღებელი სამიზნეების წინააღმდეგ ჩადენილი პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, რომელიც ფართო აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად“.³

¹ ხუციშვილი გ. „ტერორიზმი. რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ“ ; თბილისი 2003წ., გვ. 2

² გორაშვილი გ. სადოქტორო ნაშრომი „ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება“, თბილისი 2011წ., გვ.13

³ ხუციშვილი გ. „ტერორიზმი. რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ“ ; თბილისი 2003წ., გვ. 4

მსოფლიო საზოგადოება, ცდილობდა მოეხდინა ტერორიზმის ერთიანი და უნივერსალური დეფინიციის/განსაზღვრების შემუშავება. ეს საკითხი აქტიურად მუშავდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე. პირველ მცდელობას, ამ ტერმინის განმარტებისა, ადგილი ქონდა ქ. ბრიუსელში 1930 წელს სისხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციის მე-3 საერთაშორისო კონფერენციაზე. რეზოლუციის მიხედვით, ტერორიზმი განისაზღვრებოდა, როგორც „წინასწარი განზრახვით ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელიც საერთო საფრთხეს ქმნის, საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას, ადამიანის ჯანმრთელობას, ან ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის ისეთი ღირებულებების განადგურებას, როგორცაა: ა) განზრახ ხანძრის გაჩენა, აფეთქება, წყალდიდობა, დატბორვა, მხუთავი და სასიკვდილო ნივთიერებების გავრცელება, მწყობრიდან გამოყვანა და დაზიანება სიგნალების, ფანრების, აღჭურვილობის ან ხელსაწყოების, რომელიც განკუთვნილია ხანძრის ჩასაქრობად ან გადასარჩენად; ბ) თვითნებური შეწყვეტა მუშაობის ტრანსპორტის, მატარებლის ხაზების, ტელეგრაფის, ტელეფონის, ფოსტის, ჰიდრავლიკური დანადგარის განზრახ დაზიანება, განათების, გათბობის ან საზოგადოებრივი მოხმარების ან დანიშნულების მამოძრავებელი ძალის ; გ) შეურაწყოვა, გაფუჭება ან მოწამვლა სასმელი წყლის ან პირველადი დანიშნულების საკვები ნივთიერებების, გამოწვევა ან გავრცელება ინფექციური დაავადებების, ეპიდემიის, ეპიზოტიური ან მცენარეების დაავადება, რომელსაც პირველადი დანიშნულება აქვს მიწის მეურნეობისთვის, სატყეო მეურნეობისთვის.

ამ რეზოლუციის მიხედვით, დასჯას ექვემდებარებოდა ის პირებიც, რომლებიც ტერორისტულ აქტს ჩადიოდნენ პოლიტიკური მოტივით. ⁴

მნიშვნელოვან შეთანხმებას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას საკითხში წარმოადგენს კონვენცია „საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ (1973 წლის 14 დეკემბერი).

კონვენციის შესავალ ნაწილში ხაზი ესმებოდა, რომ დანაშაული დიპლომატების და სახელმწიფო მოღვაწეთა წინააღმდეგ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ურთიერთობებს, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოთა თანამშრომლობისთვის. შესაბამისად, მოხდა ამ დანაშაულის ობიექტის და საგნის განსაზღვრა, რომელიც უნდა დახმარებოდა ძალადობის აქტის ზუსტ კვალიფიკაციაში, რომელსაც ქონდა ან არ ქონდა საერთაშორისო ხასიათი. ასევე დადგინდა, რომ ტერორიზმი შესაძლოა მიმართული იყოს არა მარტო სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველზე, ასევე იმ კოლექციალური ორგანოს წევრთა მიმართ, რომელიც ასრულებს სახელმწიფო მეთაურის ფუნქციებს, შესაბამისი სახელმწიფოს კონსტიტუციის მიხედვით.

⁴ ასათიანი გ. „თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები“. <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Law/AsatianiGeorge.pdf>

ამ კონვენციის 1.2. პუნქტის მიხედვით „სავარაუდო დამნაშავე“ არის პიროვნება, რომლის წინააღმდეგაც არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია prima facie დასადგენად, რომ მან ჩაიდინა ან მონაწილეობა მიიღო მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ერთ ან მეტ დანაშაულში.“⁵

ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იქნა ევროკავშირის მიერ 1977 წლის 27 იანვარს, სტრასბურგში და რომელიც დადასტურებული იქნა ევროკავშირის მინისტრთა კომიტეტის მიერ 1976 წელს, წარმოადგენს შეთანხმებას, რომლის მოქმედების არეალი შეზღუდულია სახელმწიფოებით, რომლებიც ევროკავშირის წევრებს წარმოადგენენ. კონვენცია, მისი ავტორთა ჩანაფიქრით, უნდა გამხდარიყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთი საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი.

კონვენციის პირველი მუხლი განსაზღვრავს იმ სამართალდარღვევებს, რომლებიც იმპერატიულად მიეკუთვნება კონვენციის მოქმედების სფეროს და არ შეიძლება მიჩნეულიყო პოლიტიკურ ან პოლიტიკური მოტივებით გამოწვეულ დანაშაულად:

- 1) დანაშაული, რომელზეც ვრცელდება 1970 წლის 16 დეკემბერს ქ.ჰააგაში და 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში ხელმოწერილი კონვენციები სამოქალაქო ავიაციის და საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების ბრძოლის შესახებ;
- 2) სერიოზული დანაშაულები დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე დაცული პირების, მათ შორის დიპლომატიური აგენტების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებთან;
- 3) გატაცებასთან, მძევლად აყვანასთან ან უკანონო დაკავებასთან დაკავშირებული დანაშაული;
- 4) დანაშაული დაკავშირებული ნაღმის, ხელყუმბარის, რაკეტის, ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღის, ან წერილისა თუ საამანათო ნაღმის გამოყენებასთან, თუ ამით საფრთხე შეექმნა პიროვნებას.

კონვენციის მე-2 მუხლით, სახელმწიფო თავისი შეხედულებით უფლებამოსილია შეაფასოს ქმედება დანაშაულად, შემდეგ შემთხვევებში: რაიმე სერიოზული ძალადობის აქტი, რომელიც პირველ მუხლში არ არის გათვალისწინებული და მიმართულია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლების წინააღმდეგ;

⁵ კონვენცია „საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ 14.12.1973წ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1211070?publication=0>

იგივე წესი გამოიყენება საკუთრების წინააღმდეგ, რომელიც არ წარმოადგენს მუხლი 1-ით გათვალისწინებულ ქონებას, თუ მან შეუქმნა კოლექტიური საფრთხე პირებს. კონვენციის შესაბამისად, დანაშაულს წარმოადგენს კონვენციის პირველი და მეორე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა, ჩადენის მცდელობა ან მათში მონაწილეობა.⁶

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა აღიარებს ტერორიზმს უკანონო ქმედებად, პოლიტიკური მოტივის მიუხედავად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლი ტერორისტულ აქტს განმარტავს შემდეგნაირად, „ტერორისტული აქტი, ესე იგი აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ჩადენილი ტერორისტული მიზნით.“

ამავე მუხლის შენიშვნაში კი მითითებულია, რომ „ 1. ამ თავის მიზნებისათვის ტერორისტული მიზანი არის მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება.“⁷

რუსეთის ფედერაციის 25.07.1998 წლის #130 ფედერალური კანონის შესაბამისად, ტერორიზმი არის ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, აგრეთვე ქონებისა და სხვა მატერიალური ობიექტის განადგურება (დაზიანება) ან მათი განადგურების (დაზიანების) მუქარა, რომელიც იწვევს ადამიანთა დაღუპვის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზარალის მიყენების საშიშროებას ან სხვა საზოგადოებრივად სახიფათო შედეგს; ხორციელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის, მოსახლეობის დაშინების ან ტერორისტების სასარგებლოდ სახელისუფლებო ორგანოების გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით, ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ინტერესების დაკმაყოფილებისთვის; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოღვაწის სიცოცხლის ხელყოფა მისი სახელმწიფო ან სხვა პოლიტიკური მოღვაწეობის შეწყვეტის ან აღნიშნული მოღვაწეობის გამო შურისძიების მიზნით; უცხო ქვეყნის

⁶ ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.,27.01.1977., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1221899?publication=0>

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; 22.07.1999წ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=208>

წარმომადგენელზე ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელზე თავდასხმა ომის პროვოცირების ან საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავების მიზნით.⁸

ტერორიზმის ახალი ფორმა „საერთაშორისო ტერორიზმი“ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს გამოჩნდა, რომელმაც განსაკუთრებით საშიში ხასიათი მე-20 საუკუნის დასასრულს შეიძინა.⁹

ტერორისტულ აქტს საერთაშორისო ტერორიზმის კვალიფიკაცია ეძლევა, თუ იგი იმ ტერიტორიის გარეთ ხორციელდება, რომელსაც ტერორისტები მიეკუთვნებიან, ან მასში სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები მონაწილეობენ.

ტერორიზმის მიზანია არა მარტო ძალადობა, შურისძიება, ქონების მოხვეჭა და სხვა, ტერორიზმი გადაიქცა პოლიტიკურ ფენომენად და ტერაქტების მოწყობის მოტივიც ძირითადად პოლიტიკურია ან კომბინირებული. რა თქმა უნდა, ტერორისტებს შორის არიან კრიმინალები, რომლებისთვისაც პოლიტიკური მოთხოვნილებები, მხოლოდ შირმაა ან ისინი წარმომადგენენ იარაღს პოლიტიკოსების ან რელიგიური ექსპერიმენტული ორგანიზაციების ხელში.

ტერორიზმი, როგორც საერთაშორისო დანაშაულის სახე, სხვადასხვა განხილვის საგანს წარმოადგენს. ის ან პოლიტიკურია, ან განიხილება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

დამნაშავეთა ქმედება, რომელიც მიმართულია მთელი ჯგუფი ადამიანების ფიზიკური განადგურებისკენ, მათი ქონების ხელყოფისკენ და სხვა, შეიძლება განიმარტოს, როგორც ტერორიზმი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედებები განხორციელებულია ტერორისტული ორგანიზაციების ან დამოუკიდებელი პირის მიერ და არა სახელმწიფოს და მისი ოფიციალური ორგანოს მიერ.

ტერორიზმის მორალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი მიუთითებს იმ თავისებურებებზე, როგორიცაა განსაკუთრებული სისასტიკე, უმაღლესი დონის ამორალობა, უმართაობა. ტერორიზმი გამორიცხავს ადამიანის ძირითად უფლებას - სიცოცხლეზე, გამორიცხავს ნებისმიერ შეზღუდვას ადგილის შერჩევის კუთხით, დროის, თავდასხმის ხერხის. ასევე არ ექცევა ყურადღება ისეთ გარემოებებს, როგორიცაა ასაკი, სქესი და მსხვერპლის სხვა თავისებურებებს. თავდასხმის ობიექტი შეიძლება გახდეს ბავშვი, ქალი, მოხუცი, საავადმყოფო, სკოლა, საბავშვო ბაღი, სამშობიარო და სხვა. მთავარია მოახდინოს საშინელი ეფექტი, გამოიწვიოს

⁸ ჭიდიტაშვილი ა., დისერტაცია „ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში“, თბილისი 2009წ., გვ.9

⁹ ასათიანი გ. „თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები“. <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Law/AsatianiGeorge.pdf>

მაქსიმალური გამოხმაურება (რეზონანსი), მოახდინოს ფსიქოლოგიური ზეწოლა და მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

ტერორიზმის კლასიფიკაცია რთულია. სუბიექტის მიხედვით, რომელიც ტერორისტულ საქმიანობას ეწევა, ტერორიზმი იყოფა:

1. არაორგანიზებულ ან ინდივიდუალურ - ასეთ შემთხვევაში ტერაქტს აწყობს ერთი ან ორი პირი, რომელთა უკან არ დგას რაიმე სახის ორგანიზაცია. ინდივიდუალური ტერორიზმი იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.
2. ორგანიზებული ან კოლექტიური - ტერორისტული აქტი იგეგმება და ხორციელდება სპეციალური ორგანიზაციის მიერ. ორგანიზებული ტერორიზმი ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს.¹⁰

მიზნის მიხედვით, ტერორიზმი იყოფა:

1. ნაციონალურ - ახასიათებს სეპარატისტული ან ნაციონალურ განმათავისუფლებელი მიზნები;
2. რელიგიური - დაკავშირებულია დაპირისპირებასთან ერთი რელიგიის მიმდევრების მეორე რელიგიის მიმდევრებისადმი ან მისი მიზანია საერო ძალაუფლების შემცირება და რელიგიური ძალაუფლების გამტკიცება;
3. სოციალური - მისი მიზანია ძირეულად ან ნაწილობრივ მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შეცვლა. ხშირად ამ სახის ტერორიზმს უწოდებენ რევოლუციურს. მაგალითად, ანარქისტული, ფაშისტური და სხვა.

ობიექტის მიხედვით, ტერორიზმი ზიანს აყენებს ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, საკუთრებას, უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ურევს საზოგადოებრივ ცხოვრებას. მოსახლეობა ძირითადად განიცდის ფიზიკურ ზეწოლად, რაც ხდება სხეულის დაზიანების და სიცოცხლის მოსპობის შედეგი. მას შეიძლება ასევე ახლდეს ფსიქოლოგიური ზეწოლა და გამოძალვა, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ტერორისტული აქტისთვის, რომელსაც ახლავს გამოსყიდვის მოთხოვნა.

ტერორიზმი შეიძლება ასევე გამოვლინდეს გარკვეული ობიექტების განადგურებაში ან განადგურების მცდელობაში: თვითმფრინავის, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლის, საზღვაო გემების, სასიცოცხლო ობიექტების და სხვა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება ტერორისტებისთვის, მათი მიზნის მიღწევის მიზნით, ეს არის - დაშინება, გარემოს შექმნა შიშისთვის, რათა ადამიანმა იგრძნოს საფრთხე მისი და მისი ახლობლების სიცოცხლისთვის. ტერორისტული

¹⁰ ასათიანი გ. „თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები“. <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Law/AsatianiGeorge.pdf>

დაჯგუფების მიერ ქონების განადგურება, რომელსაც არ მოყოლია ადამიანის სიკვდილი, შეიძლება ასევე დაკვალიფიცირდეს ტერორიზმად.

ტერორიზმისთვის, როგორც საერთაშორისო დანაშაულისთვის, დანაშაულის ჩადენა მარტო ერთი პირის მიერ, თანამედროვე პერიოდში არ არის დამახასიათებელი. იმ შემთხვევაშიც, როცა დამნაშავე მარტო მოქმედებს, ხშირად ამ დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებლობას იღებს რომელიმე ტერორისტული ორგანიზაცია.

თანამედროვე ტერორიზმს ახასიათებს ყველა ნიშანი, რაც ორგანიზებული დანაშაულისთვისაა დამახასიათებელი. თუ ტერორისტის ქმედება არ ცდება მისი ქვეყნის საზღვრებს, პასუხისმგებლობა დეგბა ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით. ტერორიზმის შესახებ საქმის განხილვისას, აუცილებელია მოხდეს წამქეზებლების შესახებ საკითხის შესწავლა, რომლებიც შეიძლება იყვნენ ორგანიზატორები არა მხოლოდ ამ ქმედების, არამედ ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის, რაც შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს საერთაშორისო დონეზე ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით, იმ კუთხით, რომ მოხდეს პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური სანქციების გამოყენება იმ სახელმწიფოების მიმართ, რომელთაც ხელი შეუწყვეს ტერორიზმს.

სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, ტერორიზმი - ეს არის მუდამ განზრახვი ქმედება, ჩადენილი წინასწარი განზრახვით. ამასთან, ტერორისტის განზრახვა განსხვავდება მკვლელობის განზრახვისგან. თუ მკვლელობის დროს ორი მხარეა - დამნაშავე და მსხვერპლი, ტერორისტული აქტის დროს არის მესამე მხარეც - ხელისუფლების ორგანოები ან საზოგადოება, რომელთანაც თანამშრომლობს ტერორისტული ორგანიზაცია ან ტერორისტი. ტერორისტს შესაძლოა მსხვერპლი არც აინტერესებდეს, ის მიზანი არ არის, არამედ საშუალებაა. მათი მოქმედება მიმართულია მიზნის მისაღწევად, რაც შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ყურადღების მიქცევა, მოსახლეობის და ხელისუფლების წარმომადგენლების შეცდომაში შეყვანა, მათი პოლიტიკური, რელიგიური შეხედულებების პროპაგანდა. ამასთან, ვლინდება მსხვერპლთა განურჩევლობა, რასაც ახლავს სისასტიკე, უდანაშაულოთა მასობრივი მსხვერპლი, შემთხვევითი ადამიანების სიკვდილი.

ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ტერორიზმი იმითაა საშიში, რომ სამიზნეს წარმოადგენს არა პოლიციელი ან პოლიტიკოსი ან სხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელი, არამედ საზოგადოება. შესაბამისად, ბუნებრივი რეაქცია ადამიანის ამ დროს არის მთელი პასუხისმგებლობის დაკისრება იმ ნაციის ყველა წარმომადგენელზე, რელიგიის მიმდევარსა და პოლიტიკურ მიმდინარეობაზე.

1.2. ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურა, დაფინანსების წყაროები

მე-20 საუკუნის დასასრულს, ტერორიზმი საზოგადოებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. აღნიშნული კი განპირობებულია მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენამ გვიჩვენა, რომ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოც კი უძლურია დაიცვას მისი მოქალაქეები ტერორიზმის მუქარიდან. აღნიშნულის შედეგად მოხდა ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა.

იმისათვის, რომ წარმატებულად მოხდეს ტერორიზმთან ბრძოლა, აუცილებელია მოხდეს მისი საფუძვლის შესწავლა და მოხდეს მიზეზის აღმოფხვრა და არა შედეგების. ტერორიზმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი გამოწვეულია კრიზისული მოვლენების ზრდის შედეგად, საზოგადოების უუნარობით მოახდინოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების რეგულირება, პოლიტიკური და ადამიანური იდეალების და ფასეულობების სწრაფი შეცვლით. შედეგად, ხდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი სისუსტეების გამოყენების აქტივირება, რაც წარმოადგენს მიზნის მიღწევის (ძალადობა, ტერორი) უმოკლეს გზას.

დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ ხუთი ძირითადი ტიპის ტერორისტული დაჯგუფება მათი მიზნით, მოტივით და ობიექტით.¹¹

1. **ნაციონალურ-სეპარატისტული ანუ ეთნო ნაციონალური.** ამ ტერორისტულ ორგანიზაციას ექსპერტები მიაკუთვნებენ ჯგუფს, რომელიც იბრძვის დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნისთვის. ასეთია: დიდ ბრიტანეთში „დროებითი ირლანდიული რესპუბლიკური არმია“, ფილიპინებში „ფრონტი ნაციონალურ განმათავისუფლებელი მორო“; პალესტინური „ორგანიზაცია აბუ ნიდალის“ და „ადგილობრივი ფრონტი პალესტინის გასათავისუფლებლად“ და სხვა. ნაციონალურ-სეპარატისტული ექსტრემისტები, როგორც წესი ცდილობენ მოახდინონ მათი მოძრაობის საერთაშორისო მხარდაჭერა და მიაყენონ ზიანი ნაციონალური უმრავლესობის სახელისუფლებო სტრუქტურებს. ეთნო სეპარატისტების შეხედულებები, არ ექვემდებარება ევოლუციურ პროგრესირებას.

2. **სოციალურ - რევოლუციური.** აღნიშნული დაჯგუფების მიზანია, მოახდინოს კაპიტალური, ეკონომიკური და სოციალური წყობის ნგრევა. აღნიშნული ტერორისტები ქადაგებენ ევროპულ და რუსული ანარქისტების ლოზუნგებს „მოქმედების პროპაგანდა“ მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ამ დაჯგუფების ტიპური წარმომადგენლები იყვნენ 1970-1980 წლებში აქტიურად მოქმედი გერმანიის „ფრაქცია წითელი არმიის“, ლოზუნგით „ევროპის მებრძოლი კომუნისტები“, იტალიის „წითელი

¹¹ Романченко Н.Е. «Современные террористические организации: Институциональная классификация и векторы противодействия» ст.2. <https://cyberleninka.ru/article/v/sovremennye-terroristicheskie-organizatsii-institutsionalnaya-klassifikatsiya-i-vektory-protivodeystviya>

ბრიგადა“, ასევე იაპონური წითელი არმია. მართალია სოციალ-რევოლუციური ტერორიზმის ევროპულმა ვარიანტმა ბოლო ოცი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეამცირა მისი აქტივობა, თუმცა აღნიშნული ფორმა ტერორიზმის კვლავ საკმაოდ გავრცელებულია ლათინურ ამერიკაში: „ტუპაკ ამარის რევოლუციური მოძრაობა“ პერუში, „15 მაისის ორგანიზაცია“, „რევოლუციურ შეიარაღებული ძალები კოლუმბიის“ და სხვა.

3. რელიგიურ- ფუნდამენტური. ექსტრემისტულად განწყობილი პირები - რადიკალები და ფუნდამენტალისტები - არსებობენ ყველაზე მეტად გავრცელებული რელიგიის წარმომადგენლებს შორის, როგორცაა: ისლამი, იუდაიზმი, ქრისტიანობა, ასევე ინდუიზმი და სხვა. აღნიშნული დაჯგუფებებისთვის მთავარ როლს თამაშობს რელიგიური ლიდერების მიერ გამოცემული გადაწყვეტილებები, რომელიც მათი რელიგიის ადათების შესაბამისად, წარმოადგენს ერთადერთ სწორ სწავლებას და ღმერთის ნებას. ეს რელიგიის მიმდევრები, იყენებენ წმინდა წერილებს, ღმერთის სახელით მკვლევლობის გამართლების მიზნით. ყველაზე სასტიკ ისლამურ რადიკალურ ორგანიზაციას წარმოადგენენ: „მუსულმანთა სამმო“, „ჰამასი“, „ისლამური ჯიჰადი“ და „ჰეზბოლა“, რომელთაც ყავთ ბევრი მიმდევრები და მხარდამჭერები მათ ქვეყანაში.

4. არატრადიციულ-რელიგიური. ქადაგებს გაერთიანებას და გამოდის არსებული წესრიგის შესაწარმუნებლად ან საზოგადოების მობრუნებისკენ „ოქროს ხანაში“. ასეთ დაჯგუფებებს მიეკუთვნება ნეონაცისტური და რასისტული საზოგადოება. ფაშისტურის გარდა, ეს ჯგუფი ასევე ემხრობა რასისტულ, ანტისემიტური, და ანტისახელმწიფოებრივ იდეოლოგიას.

არსებობს ასევე, ახალრელიგიური ტერორიზმი, რომლის მიზანია, მოახდინოს ახალი რელიგიური კულტის მტრების განადგურება, ამ ახალი რელიგიის დაცვის მიზნით.

ექსტრემალური დაჯგუფებები, არატრადიციული რელიგიური მიმართულებებით, წარმოადგენენ დახურულ კულტებს, ან ტოტალიტარულ სექტებს, რომლებიც ებრძვიან „ემშაკისეულ მოწინააღმდეგეებს“ გადარჩენისთვის, რომლებიც უნდა განადგურდნენ. ამ ჯგუფების უმრავლესობა ელოდება აპოკალიფსურ სამყაროს დასასრულს. დახურული სექტების ქარიზმატული ლიდერები, საკუთარ თავს ხედავენ ახალი ღვთაების რანგში და შეპყრობილნი არიან ძალაუფლების მოხვეჭის იდეით და ახდენენ სექტის წევრების დამორჩილებას. ამ სახის სექტებში ჩვეულებრივ წევრებს არ აძლევენ უფლებას ქონდეთ მათი აზრი, გამოხატონ უნდობლობა ან ეჭვი ლიდერის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

5. რადიკალური.

დღეის მდგომარეობით, მსოფლიოში არსებობს ასობით ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია და დაჯგუფება. დასავლეთ ქვეყნების სპეცსამსახურების

შეფასებით 1968 წელს მათი რაოდენობა იყო -13, 1995 წელს- დაახლოებით 100, ამასთან აქტიური წევრების საერთო რაოდენობა, რომელთაც შეეძლოთ ტერორისტული აქტების მოწყობა, ამ პერიოდში შეადგენდა არანაკლებ 50 000 კაცს.¹²

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნეს წარმოადგენს სახელმწიფოს დეზორგანიზაცია, მათთვის ეკონომიკური და პოლიტიკური ზიანის მიყენება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევა.¹³

თანამედროვე საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს ურთულესი და კარგად დამუშავებული სტრუქტურა ახასიათებთ. თითოეული ოპერაცია მზადდება დიდხანს და უმკაცრესი კონსპირაციის პირობებში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ კენიაში, აშშ-ს საელჩოზე 1998 წელს აღ- ქაედას მიერ განხორციელებული თავდასხმა, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში მზადდებოდა.¹⁴

ტერორისტული აქტის მზადება რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- ხდება სამიზნის და მისი გარემოცვის შესახებ ინფორმაციის მოგროვება;
- შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მარშუტების განსაზღვრა;
- სიმულაციების პროცესების განხორციელება;
- იარაღის შერჩევა და შემთხვევის ადგილზე მოგროვება;
- დაგეგმვის დასრულების შემდეგ მისი განმახორციელებელი ჯგუფისთვის გადაცემა.

ტერორისტულ აქტში ჩართული ჯგუფები ერთმანეთს არ იცნობენ და არც ინფორირებულნი არიან ერთმანეთის შესახებ. ტერორისტული ორგანიზაცია დაყოფილია 2-3 პირისაგან შემდგარ მცირე ჯგუფებად. საიდანაც, ერთი პირი იცნობს მეორე ჯგუფში ერთ რომელიმე პირს. ერთ-ერთი ჯგუფის წევრის შეპყრობის შემთხვევაში, ხელისუფლება შეიტყობს იმ და მაქსიმუმ მომიჯნავე ჯგუფის საქმიანობაზე. პირამიდის აგებულება იცის მხოლოდ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პირებმა.¹⁵

ტერორისტული ორგანიზაციები ქმნიან ერთიან სახელმძღვანელო ორგანოებს, მართვის სისტემას, დაგეგმარების ქვედანაყოფს. ინიშნება დიდი დაჯგუფების ხელმძღვანელთა შეხვედრები, სადაც ხდება სხვადასხვა ეროვნული კუთვნილების მქონე ინფორმაციის საქმიანობის კოორდინაცია. დიდი მორალურ-ფსიქოლოგიური

¹² Романченко Н.Е. «Современные террористические организации: Институциональная классификация и векторы противодействия» ст.6. <https://cyberleninka.ru/article/v/sovremennye-terroristicheskie-organizatsii-institutsionalnaya-klassifikatsiya-i-vektory-protivodeystviya>

¹³ ასათიანი გ. „თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები“. <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Law/AsatianiGeorge.pdf>

¹⁴ ხუციშვილი გ. „ტერორიზმი. რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ“ ; თბილისი 2003წ., გვ. 9

¹⁵ იქვე

ეფექტის მოხდენის მიზნით და საზოგადოებრივი რეზონანსისთვის, ხდება ინფორმაციულ-პროპაგანდისტური უზრუნველყოფა. ტარდება სამუშაოები მომხრეთა შერჩევისა და მომზადებისათვის, აქტიური ფუნქციონერების და სამხედროების აყვანა, მათი მიზანმიმართული გამოყენების მიზნით, კრიზისულ რაიონებში, სადაც ერთ-ერთ კონფლიქტურ მხარეს წარმოადგენს მუსულმანური ორგანიზაცია.

საკუთარი მიზნების მისაღწევად, ტერორისტები ხშირად იყენებენ მასობრივი ინფორმაციის და კომუნიკაციის საშუალებებს, როგორცაა: ინტერნეტი, რადიო და ტელევიზია.

ტერორიზმთან ბრძოლის ინსტიტუტი (ისრაელი) გამოყოფს სამი სახის ტერორიზმს:

- საერთაშორისო ტერორიზმი - ტერაქტის მოხდენის ადგილს მნიშვნელობა არ აქვს. ტერორისტული დაჯგუფება შედგება სხვადასხვა ნაციონალობის მქონე პირებისაგან ან სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებისაგან; ბრძოლის ობიექტს წარმოადგენს პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებები, ან საერთაშორისო ორგანიზაციები, შეთანხმებები, ინსტიტუტები; ტერორისტული საქმიანობა ფინანსდება საზღვარგარეთის სახელმწიფოების ან კერძო პირების მიერ, ორგანიზაციების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ იმ ქვეყნის რეზიდენტებს, სადაც ხორციელდება ტერორისტული საქმიანობა.
- შიდა ტერორიზმი - ტერორისტული აქტის ჩადენის ადგილია წარმომშობის ქვეყანა. ტერორისტული დაჯგუფება შედგება, როგორც წესი ერთი ქვეყნის მოქალაქეებისგან, ერთი ნაციონალური და რელიგიური კუთვნილების მქონე პირებისგან; ბრძოლის ობიექტს წარმოადგენს - წარმომშობი ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემები;
- ობიექტური ტერორიზმი - ტერორისტული აქტები ხდება განსაზღვრული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების მიმართ. ასეთი ტერორისტული ჯგუფები ითვლება მავნებლურ ან საშიშ დაჯგუფებად (ანტი-ატომური ტერორიზმი, ეკოლოგიური ტერორიზმი).

1.3. ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების მოდელები

ეკონომიკის რეგიონალური მოდელების მსგავსად არსებობს ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების მოდელები - ლათინოამერიკული, დასავლეთ აფრიკული, დასავლეთ ევროპული, ახლოაღმოსავლური და სხვა. მათი შედარებისას, შეიძლება გამოიყოს ტერორისტული ორგანიზაციის დაფინანსების სისტემის სხვადასხვა განვითარების დონე, მიწისქვეშა დაჯგუფებების მიერ შეგროვებული სახსრებიდან დაწყებული, მობილური ტერორისტული დანაყოფების დაფინანსებით დამთავრებული.

ტერორიზმის დაფინანსების შემდეგი მოდელები არსებობს:

1. **ადმინისტრაციულ ინსტიტუციონალური „ნაცრისფერი ზონის“.** ტერმინი „ნაცრისფერი ზონა“ (Greyzone) ნიშნავს რეგიონებს საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოების ტერიტორიებზე, რომლებიც ან საერთოდ არ კონტროლდება ლეგალური ხელისუფლების მიერ, ან კონტროლდება ნაწილობრივ. თანამედროვე მსოფლიოში ასეთი რეგიონები ბევრია: კურდისტანი - თურქეთში, მთიანი ყარაბაღი - აზერბაიჯანში, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი - საქართველოში, ჩრდილოეთ შრი ლანკა, სამხრეთ კონგო, აღმოსავლეთ და დასავლეთ კოლუმბია და სხვა.

„ნაცრისფერ ზონებს“ შორის შეიძლება გამოიყოს ორი ტიპი: ან ოპოზიციური ორგანიზაციების მიერ ხდება „რუხ ზონაში“ ალტერნატიული ადმინისტრაციული სისტემის შექმნა (როგორც აფხაზეთში ან მთიან ყარაბაღში), ან ტერიტორია ხდება პარტიზანული და ანტიპარტიზანული ქმედებების ველად (როგორც კოლუმბიაში და კურდისტანში). პირველი ტიპი მოიცავს ოპოზიციური ძალის მისწრაფებას, მოახდინოს ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ლეგალიზაცია, რომელიც შეუთავსებელია ტერორისტულ საქმიანობასთან.

სრულიად განსხვავებული სიტუაცია ჩამოყალიბდა ჩეჩნეთში 1990 -იან წლებში. მართალია ჩეჩენი სეპარატისტების მისწრაფება იყო ნორმალური დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, თუმცა მისი დაფინანსება ატარებდა ბანდიტურ-ტერორისტული საქმიანობის აშკარა ნიშნებს.¹⁶

თანამედროვე პერიოდის ლიტერატურაში უკვე კარგად არის განხილული საკითხი, რომელიც შეეხება ჩეჩენი „დამოუკიდებლობისთვის მებრძოლების“ შემოსავლის წყაროს 1992-1999 წლებში, როცა ჩეჩნეთი გადაიქცა კრიმინალების საყდრისად, რომელიც არსებობდა ქურდობის, კონტრაბანდის, იარაღის და ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობით შემოსული სახსრებით. უკანონო ოპერაციების

¹⁶ Косиков И.Г., Косикова Л.С. Чеченская республика: итоги и проблемы постсоветской социально-экономической эволюции// Российский экономический журнал. 2000. №8., С. 36-51 (Статья 1. Этапы деградации); №10. С. 22-36 (Статья 2. Экономические аспекты взаимоотношений с федеральным центром);

მაქსიმალურმა მამტაბმა მიაღწია 1997-1999 წლებში, როდესაც „დამოუკიდებელი იჩქერიის“ ტერიტორიაზე არ არსებობდა არანაირი ფედერალური სამართალდამცავი ორგანოები, ხოლო ადგილობრივი ძალები სარგებლობდნენ სრული თავისუფლებით განეკარგათ, როგორც ადგილობრივი რესურსი, ისე ფედერალურ ცენტრის დოტაციები, რომელიც უნდა მოხმარებოდა ჩეჩნეთის ეკონომიკის აღდგენას. ძირითადი მიმართულებები ჩეჩნეთის ბნელი ეკონომიკის გახდა ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებული იყო ნავთობპროდუქტების გატაცებასთან და ფინანსურ მაქინაციებთან.

უკვე ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის დროს (1992-1994წწ), ჩეჩნეთიდან ყოველწლიურად არალეგალურად გადიოდა ნავთობპროდუქტები, 2-3 მილიონი დოლარის ღირებულების. 1996 წლის აგვისტოს თვეში, ჩეჩნეთში განხორციელდა „ველური“ პრივატიზაცია, გარკვეულმა მოქალაქეებმა და შეიარაღებულმა ჯგუფებმა თვითნებურად და ფაქტიურად უფასოდ მიიტაცეს ნავთობის საცავები, საწარმოები და სხვა. ინდივიდუალური საწარმოების წარმოშობა, რომელიც დაფუძნებული იყო ნედლეულის ქურდობაზე, გახდა ჩეჩნეთის ეკონომიკის საფუძველი. ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ, ნავთობის მოპოვება თანდათანობით გავიდა სახელმწიფო კონტროლიდან და 1999 წელს სრულად გადავიდა „ბნელი სამყაროს“ ხელში. ჩეჩნეთი გახდა დაახლოებით 100 კრიმინალური დაჯგუფების ბაზა. ისინი არა მხოლოდ მარცვავდნენ სახელმწიფოს გავლით მიმავალ მატარებლის ვაგონებს და იტაცებდნენ ადამიანებს, არამედ ახდენდნენ რეკეტს და ახორციელებდნენ ფინანსურ მაქინაციებს რუსეთის მამტაბით. 1999 წელს, საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის მიერ გამოვლენილი იქნა დაახლოებით 2000 რუსული ფირმა და კომერციული ბანკი, რომლებიც ან უხდინდნენ ჩეჩენ კრიმინალებს, ან მათ სასარგებლოდ ახორციელებდნენ საბანკო ოპერაციებს.

შესაბამისად, ჩეჩნეთის რესპუბლიკა 1992-1999წწ იყო „თავისუფალი კრიმინალური ზონა“, რომელიც გაემიჯნა რუსეთის ხელისუფლების კონტროლს და სპეციალიზდებოდა კრიმინალურ მიზნებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა ნაციონალურ ეკონომიკურ უსაფრთხოებას. მოკლედ საქმე ეხებოდა რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ ტერორს. ამ „ეკონომიკური ექსპერიმენტის“ შეწყვეტის აუცილებლობა გახდა უდავო, როცა 1999 წელს ჩეჩნეთის საბრძოლო მეთაურები შეეცადნენ მათი „ნაციონალური მოდელის“ ექსპორტი მოეხდინათ დაღესტანში.¹⁷

ფინანსური ტერორიზმის ჩეჩური მოდელი წარმოადგენს ამ ინსტიტუტის განვითარების უმაღლესი დონის დემონსტრაციას. ის უნიკალურია - თანამედროვე მსოფლიოს თითქმის არც ერთ ქვეყანას, გარდა რუსეთისა 1990-იან წლებში, არ დაუშვია მის ტერიტორიაზე ხანგრძლივი არსებობა ტერორისტული სახელმწიფოებრივი

¹⁷ Кашников Б.Н., Чеченский Терроризм. Взлёт и Падение. Российский научный журнал, 2008. №3., сс 70-76.

წარმონაქმნის. ერთადერთი ახლო ანალოგია შეიძლება იყოს - ავტონომიური ზონა კოლუმბიაში.

2. **პარტიზანული „ნაცრისფერი ზონის“** - თუ ადმინისტრაციულ ინსტიტუციონალური ტერორიზმის დაფინანსების „რუხი ზონა“ უნიკალურია, „რუხი ზონის“ პარტიზანული ტიპი უფრო ხშირად გვხვდება. განვიხილოთ ეს მოდელი კოლუმბიის მაგალითზე.

თანამედროვე კოლუმბიაში მოქმედებს ორი ძირითადი მეამბოხე ორგანიზაცია, რომლებიც მისდევენ მარქსისტულ იდეოლოგიას. ესაა „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები“ (FARC-EP) და „ნაციონალური განმანთავისუფლებელი არმია“ (ELN), რომელთაც პარტიზანული მოქმედებები ჯერ კიდევ 1960 წელს დაიწყეს და 1980 წელს წერტილოვანი შეტევიდან გადავიდნენ ბრძოლაზე ტერიტორიებზე კონტროლის დაწესებისთვის. 2000 წლის შუა პერიოდში, მათ რიგებში დაახლოებით 25 000 მეომარია, რომელიც რიცხობრივად შეესაბამება კოლუმბიური არმიის პროფესიონალურ კონტიგენტს. მეამბოხეები აკონტროლებენ ქვეყნის დაახლოებით 40 პროცენტს (ძირითადად ძნელად მიღწევად დასახლებულ რაიონებს).

რეგულარული არმიის და მემარცხენე პარტიზანების გარდა ქვეყანაში მოქმედებს მემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ცალკეულ რაიონს აკონტროლებენ და ნარკოკარტელის შეიარაღებული დაჯგუფებები. კოლუმბია გადაიქცა სამოქალაქო ომის არენად, სადაც ყველა ერთმანეთს ებრძვის, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება პერიოდულად აკონტროლებს ნაციონალური ტერიტორიის ნახევარზე ცოტას. ყოველწლიურად ქვეყანაში ათასობით ადამიანი იღუპება, მათ შორის 2/3 წარმოადგენს სამოქალაქო პირებს.

ტერორიზმის დაფინანსების კოლუმბიური მოდელი, ყალიბდება ისეთ სიტუაციაში, როცა ტერორისტული ორგანიზაციები აკონტროლებენ ფართო ტერიტორიებს დინამიურ რეჟიმში, ხშირად სამყაროს სხვა რეგიონებშიც გვხვდება. მაგალითად კურდსკის მუშათა პარტია, რომელიც 1980 იანების შუაში აწარმოებდა შეიარაღებულ ბრძოლას დამოუკიდებელი კურდისტანის შექმნისთვის სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, ასევე იღებს ძირითად შემოსავალს არაკანონიერი გადასახადებით პარტიზანული მოქმედების ზონაში მცხოვრები მოსახლეობისაგან.

ანგოლაში და კონგოში არასახელმწიფოებრივი დაჯგუფებების არის კონტრაბანდა სასარგებლო წიაღისეულის მიანმეში, ჰეროინის მოყვანა და კონტრაბანდა.¹⁸

¹⁸ Suarez A.R. Parasites and Predators: Guerrillas and the Insurrection Economy of Colombia. Journal of international Affairs. Spring 2000. Vol 53. #2. P.577-601

3.იატაკვეშა ორგანიზაცია ძლიერი საგარეო კავშირებით. ტერორისტული ორგანიზაციებისათვის დამახასიათებელია სიტუაცია, როცა ისინი მოქმედებენ მიწისქვეშ და არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მნიშვნელოვანი შემოსავლები ბაზირების ადგილებიდან. ასეთ შემთხვევაში დაფინანსება შეიძლება მოხდეს გარედან.

მიწისქვეშა ტერორისტული ორგანიზაციის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს „ალ-ქაედა“, რომელსაც ბენ ლადენი ხელმძღვანელობდა, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გახდა საერთაშორისო ტერორიზმის სიმბოლოდ. ავსტრიელი ეკონომისტ-კრიმინოლოგის ფრიდრიხ შნაიდერის შეფასებით, ალ ქაიდას 20-50 მილიონი დოლარის ყოველწლიური ფინანსური შემოსავლიდან, არანაკლებ 50-65 პროცენტი წარმოადგენდა კრიმინალური ქმედებებიდან, როგორცაა: ნარკოტიკების და ალმასების კონტრაბანდა, ადამიანთა გატაცება და სხვა, შემოსულ შემოსავალს. მნიშვნელოვანი ნაწილი ალ-ქაიდას დაფინანსების მოდის ლეგალური წყაროებიდან (ისლამური ორგანიზაციების შემოწირულობა).¹⁹ შემოწირულობების შეგროვება ისლამური ტერორისტული ორგანიზაციებისათვის ისლამულ ქვეყნებში დანერგილ პრაქტიკას წარმოადგენს. ეს სანახევროდ კეთილშობილური გადასახადი, აუცილებელია მორწმუნე მუსულმანებისთვის, პრინციპში განკუთვნილია ღარიბებისთვის შესაწირად, თუმცა ტერორისტები (მათ შორის იყო ბენ ლადენიც) აცხადებენ პრეტენზიას მასზე და ამტკიცებენ, რომ „ჯიჰადის“ დაფინანსება უფრო მუსულმანის წმინდა ვალს წარმოადგენს.

4. იატაკვეშა ორგანიზაცია სუსტი საგარეო კავშირებით. საგარეო დაფინანსების დაკარგვის შემდეგ, ტერორისტები ახდენენ ადგილობრივ ბნელ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვას და ექსპლუატაციას. შესაბამისად, ხდება მაფიოზურ ორგანიზაციებთან მაქსიმალური დაახლოება. ამ გზით მიდიოდა ირლანდიური რესპუბლიკური არმია (IRA) მისი საქმიანობის ბოლო პერიოდში.

1990 წელს IRA-ს დაჯგუფებამ ფაქტიურად დაკარგა შესაძლებლობა მიეღო ფინანსური დახმარება ირლანდიური დიასპორისგან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ტერორისტების დახმარება შეუძლებელი გახდა. ლივიის დახმარებაც შეწყდა, ვინაიდან ამ ქვეყანამ დაიწყო ბრძოლა მისი სტატუსის აღდგენისთვის. საგარეო შემოსავლის წყაროების დაკარგვის შემდეგ, ირლანდიელი ტერორისტები მობილიზდნენ ფინანსური წყაროების ექსპლუატაციაზე ირლანდიაში. ძირითად კრიმინალური ქმედება, რომლიდანაც IRA იღებდა შემოსავალს იყო საწვავის და სიგარეტის კონტრაბანდა, ფალსიფიცირებული პროდუქციით ვაჭრობა, ძვირფასი ტვირთის ქურდობა. ამ დაჯგუფებას მიაწერენ ბელფასტში 2004 წლის დეკემბერში ბანკის ძარცვას, 50 მილიონი აშშ დოლარის ქურდობა გახდა ყველაზე მაშტაბური დიდი ბრიტანეთის ისტორიაში.

¹⁹ Schneider F. The hidden financial flows of Islamic terrorist organisations: Some preliminary results from an economic perspective. 2002.

IRA-ს დაფინანსების ანალიზი ადასტურებს, რომ კრიმინალურ ქმედებებში მონაწილეობით, შესაძლოა საკმარისი ფინანსური რესურსის მოპოვება მაშტაბური ტერორისტული აქტების მოწყობის ორგანიზების მიზნით. შედარებისთვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ ბესლანში 2004წელს ორგანიზებული ოპერაცია ტერორისტებს, მათი განცხადებით (შეიძლება არასარწმუნო) დაჯდა მხოლოდ 8 ათასი ევრო; ცნობილი ტერაქტი 2001 წლის 11 სექტემბერს მის ორგანიზატორს, ექსპერტების შეფასებით დაჯდა ნახევარი მილიონი აშშ დოლარი.²⁰

თავი 2. საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი როლი ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში

საერთაშორისო ტერორიზმისთვის დამახასიათებელია ტერორიზმის ყველა ნიშანი, თუმცა მას ახასიათებს სპეციფიკური ნიშნები - ნიშნები საერთაშორისობის, რითაც ხდება გაყოფა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმის. აღნიშნული გაყოფა მნიშვნელოვანია პრაქტიკული და თეორიული თვალსაზრისით. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა იურიდიული თვალსაზრისით წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივ პრობლემას, ხოლო ბრძოლა ტერორისტულ აქტებთან შიდასახელმწიფოებრივი ხასიათის მიეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენციას.

ფულის გათეთრება და მისი ჩართვა ლეგალურ ეკონომიკაში მრავალ ქვეყანაში შეინიშნება. არაკანონიერი გზით მოპოვებული ფულის ლეგალიზება წარმოადგენს მთავარ პირობას ორგანიზებული დანაშაული ფუნქციონირებისთვის ეკონომიკის სფეროში. ფულის გათეთრება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა და საერთაშორისო ფინანსური რესურსების განაწილებაზე და არღვევს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ამიტომ მასთან ბრძოლა წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას, რომლის დროსაც შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები წყდება:

1. ხდება თანმდევი დანაშაულების შესწავლა, ვინაიდან ფულის გათეთრება მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთი სტადიაა. ეს შეიძლება იყოს საქონლის კონტრაბანდა, იარაღი, ნარკოტიკები, არაკანონიერი მეწარმეობა, სავალუტო ოპერაციების დარღვევა, გადასახადებისგან თავის არიდება. აღნიშნული ქმედებებისგან მიღებული თანხის დაბანდება ხდება ლეგალურ ბიზნესში, ანუ ხდება მისი გათეთრება.
2. ხდება ლეგალური ეკონომიკის დაცვა კრიმინალური ინვესტიციებისაგან. შეხედულება, რომ კრიმინალური კაპიტალი, რომელიც ლეგალურ ფინანსურ

²⁰ Орлова М.Е. Ирландский терроризм и опыт борьбы с ним// Терроризм в современном мире: истоки, сущность, направления и угрозы. Институт социологии РАН, 2003.

ბრუნვაში ჩაეშვება, მოახდენს ნაციონალური ეკონომიკის განვითარებას, არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად. კრიმინალური კაპიტალი რჩება მისი მესაკუთრის კონტროლის ქვეშ და პირველ რიგში მათ მიზნებს ემსახურება. შედეგად, ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებული ხდება მის ტერიტორიაზე მოქმედ დანაშაულებრივ ორგანიზაციებზე. ასეთი შემთხვევები გვხვდება ლათინურ ამერიკაში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში.

დღეისთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია ატარებს საერთაშორისო ხასიათს. პროფესიონალი დამნაშავეები მოქმედებენ საერთაშორისო დონეზე, არა მარტო იმიტომ, რომ სურთ მოახდინონ უფრო დიდი მასშტაბის ბაზრის დაპყრობა, არამედ დაჭერის რისკი მცირდება, მრავალი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებში არსებული სერიოზული პრობლემების გამო, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივი ბაზის არარსებობასთან. საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული პრობლემით კარგად სარგებლობენ ცალკეული დამნაშავეები და კრიმინალური დაჯგუფებები და ახორციელებენ უკანონო საქმიანობას საერთაშორისო ბაზარზე და ჩართულნი არიან საერთაშორისო ფულის გათეთრებაში. კრიმინალური შემოსავლის ლეგალიზების მიზნით ისინი ირჩევენ ყველაზე სუსტ რგოლს, ანუ ქვეყანას, სადაც საბანკო საიდუმლოება მკაცრადაა დაცული, ხოლო სამართალდამცავი ორგანოების მიერ საბანკო კონტროლი არაეფექტურია ან საერთოდ არ ხორციელდება.

ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების და ფინანსური სისტემის მთლიანობის სერიოზულ საფრთხეს. FATF-ის რეკომენდაციები ცნობილია როგორც საერთაშორისო სტანდარტი ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რეკომენდაციების შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FATF) არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1989 წელს მისი წევრი ქვეყნების სამართალდამცავი მინისტრების მიერ.²¹

აღნიშნული დოკუმენტი ადგენს კომპლექსურ და თანმიმდევრულ ღონისძიებებს, რომლებიც ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ, ასევე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ. შემუშავებულია FATF-ის 40 რეკომენდაცია.

ქვეყნებს გააჩნიათ სხვადასხვა სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ოპერატიული სტრუქტურები და სხვადასხვა ფინანსური სისტემები, რის გამოც მათ არ შეუძლიათ ერთი და იგივე ზომების მიღება ამ საფრთხეების მიმართ. იმიტომ უნდა

²¹ FATF რეკომენდაციები. 2012წ. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდი: https://fms.gov.ge/Uploads/files/fatf_40.pdf

მოხდეს ქვეყნების მიერ FATF-ის რეკომენდაციების მორგება მათ პირობებთან, რომლებიც ადგენენ საერთაშორისო სტანდარტს. რეკომენდაციები განსაზღვრავენ იმ აუცილებელ ზომებს, რომლებიც ქვეყნებმა უნდა მიიღონ, რათა:

- შეაფასონ რისკი, მოახდინონ შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და მისი გატარება ქვეყნის შიგნით;
- მოახდინონ ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დანაშაულებრივი ქმედების დევნა;
- გაატაროს პრევენციული ღონისძიებები ფინანსური და სხვა განსაზღვრული სექტორებისთვის;
- მოახდინოს კომპეტენტური ორგანოების უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის განსაზღვრა (მაგალითად: საგამომიებო, სამართალდამცავი და დაზვერვის) და სხვა ინსტიტუციური ზომების გატარება;
- მოახდინოს გამჭირვალობის გაძლიერება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა იურიდიული პირების ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ და მისი წარმომავლობის;
- უზრუნველყოს საერთაშორისო თანამშრომლობა.

გარდა 40 რეკომენდაციისა, FATF ასევე უშვებს სახელმძღვანელო პრინციპებს, პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს და სხვა სახის დოკუმენტებს, FATF-ის სტანდარტების ქვეყანაში დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით.

FATF-ის რეკომენდაციები პირველად გამოიცა 1990 წელს, ხოლო 1996 წელს მოხდა მისი გადახედვა, დაგროვილი გამოცდილების და ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც კრიმინალური შემოსავლის ლეგალიზების სფეროში მოხდა.

რეკომენდაციები შედგება სამი ძირითადი განყოფილებისაგან:

- რეკომენდაციები, ნაციონალური საკანონმდებლო სისტემის სრულყოფისთვის;
- ფინანსურ სფეროში გასატარებელი ზომები. საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების როლი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში;
- ზომები, საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივობების მიზნით კაპიტალის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

FATF მუდმივად ახდენს კომისიის წევრების მიერ მითითებული რეკომენდაციების შესრულების კონტროლს. ამასთან, ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან მოახდინონ საპასუხო კონტროლი კომისიის მოთხოვნების შესრულების კუთხით.

კომისიის მუშაობის პროცესში, ნათელი გახდა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, სისტემის განმტკიცებასთან ერთად, კრიმინალურმა სტრუქტურებმა დაიწყეს იმ ქვეყნების კანონმდებლობაში

ხარვეზების მიება, რომლებიც არ ახორციელებდნენ კაპიტალის გათეთრებასთან ბრძოლის ადეკვატურ ღონისძიებებს და ამ სფეროში არ თანამშრომლობდნენ მსოფლიო საზოგადოებასთან.

აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია კომისიის საქმიანობის აქტივაცია ასეთ სახელმწიფოებთან. FATF-ის მიერ მომზადდა სპეციალური ანგარიში მოცემული სახელმწიფოების პრობლემებთან დაკავშირებით, რომელშიც იყო იმ სახელმწიფოთა კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებიც არ ახორციელებდნენ შესაბამისი ზომების გატარებას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით და მოხდა ამ ქვეყნების ჩამოთვლა.

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის საკითხში, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საერთაშორისო კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1999 ელის 9 დეკემბრის რეზოლუციით და ძალაში 2002 წელს შევიდა.²² აღნიშნული კონვენცია მოგვიანებით შეივსო 2001 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული 1373 რეზოლუციით, დაფინანსების და ტერორისტულ ორგანიზაციებთან ნებისმიერი კონტაქტის ფორმების აკრძალვის შესახებ.

2.1 საერთაშორისო ორგანიზაციების კომპეტენცია ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში

პირველ რიგში, ტერორიზმთან აქტიური ბრძოლას აწარმოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. იგი შეიქმნა 1945 წელს და დღეის მდგომარეობით მოიცავს 193 სახელმწიფოს. მისი მისია და როლი განისაზღვრება გაეროს წესდებით.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპები, რომელსაც შეიცავს გაეროს წესდება, უკრძალავს სახელმწიფოებს ტერორისტული საქმიანობის განხორციელებას. მაგალითად, გაეროს 748 რეზოლუცია.²³

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონტრტერორისტული კომიტეტის მუშაობას გაეროს უსაფრთხოების საბჭოს ფარგლებში. იგი შეიქმნა 2001 წელს 1373 რეზოლუციის საფუძველზე. კონტრტერორისტული კომიტეტი ეხმარება წევრ სახელმწიფოებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პოტენციალის შენარჩუნებაში, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

²² საერთაშორისო კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ 10/01/2000. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1216754>

²³ გაეროს 748 რეზოლუცია. 31.03. 1992. <https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/07/IMG/NR001107.pdf?OpenElement>

1373 რეზოლუცია, რომელიც მიღებული იქნა 2001 წელს 28 სექტემბერს, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მოახდინონ ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში მთელი რიგი ღონისძიებების გატარება:

- დააწესონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ტერორიზმის დაფინანსებისთვის და არ მოახდინონ ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა;
- მოახდინონ იმ პირთა ქონების დაყადაღება, რომლებიც გარეულნი არიან ტერორისტულ აქტებში;
- განახორციელონ ინფორმაციის გაცვლა, სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობა გამოძიებაში, პირის დევნასა და გადაცემაში, იმ პირის მიმართ, რომელიც ასეთ აქტებშია გარეული;
- მოახდინოს ნაციონალურ კანონმდებლობაში ტერორიზმში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის დაწესება.²⁴

კონტრტერორისტული კომიტეტი იყენებს მუშაობის ისეთ მეთოდებს, როგორცაა ქვეყნების მონახულება (მიღწეული პროგრესის გამოკვლევის მიზნით), ტექნიკური დახმარება, ქვეყნების ანგარიში (აუცილებელია, როგორც ინსტრუმენტი წევრ სახელმწიფოებს შორის დიალოგისთვის), სპეციალური თათბირები (ეხმარება კოორდინაციის გაძლიერების გაუმჯობესებაში).²⁵

ტერორიზმთან ბრძოლის ორი საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა გამოვყოთ ორგანიზაცია უსაფრთხოების და თანამშრომლობის ევროპაში და ევროპის კონტინენტზე და შანხაის ორგანიზაცია აზიასთან თანამშრომლობა.

მრავალრიცხოვანი ტერორისტული ორგანიზაციების არსებობამ განაპირობა კონტრტერორისტული კომიტეტის სპეციალური ქვედანაყოფის შექმნა, რომელიც კოორდინირებას უწევს ცალკეულ დაჯგუფებებს.

1267 (1999წ)²⁶ და 1989 (2011წ)²⁷ რეზოლუციებით დამტკიცდა უშიშროების საბჭოს კომიტეტი, ალ ქაიდას და მასთან დაკავშირებული პირების და ორგანიზაციების კუთხით.²⁸

ამ კომიტეტის რეზოლუციაში შემდეგი მოთხოვნებია განსაზღვრული:

²⁴ გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 რეზოლუცია. 28.09.2001. [https://undocs.org/S/RES/1373\(2001\)](https://undocs.org/S/RES/1373(2001))

²⁵ უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტი. <http://www.un.org/ru/sc/ctc/>

²⁶ გაეროს უშიშროების საბჭოს 1267 რეზოლუცია. 15.10.1999. [https://undocs.org/S/RES/1267\(1999\)](https://undocs.org/S/RES/1267(1999))

²⁷ გაეროს უშიშროების საბჭოს 1989 რეზოლუცია. 17.06.2011. [https://undocs.org/S/RES/1989\(2011\)](https://undocs.org/S/RES/1989(2011))

²⁸ Журавель В.П. Современные проблемы противодействия международному терроризму. Научно-политический журнал обозреватель. 2010г. №5. С.5-15

- მოხდეს აღნიშნული პირების და ორგანიზაციების ფინანსური აქტივების გაყინვა;
- აეკრძალოს მათ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა ან ამ ტერიტორიის გავლით გასვლა;
- აღიკვეთოს აღნიშნულ პირებზე იარაღის ან მატერიალური ფასეულობების მიწოდება.

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვეს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსური ღონისძიებების შემუშავებულ ჯგუფს. იგი შეიქმნა 1989 წელს „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების გადაწყვეტილებით და წარმოადგენს ძირითად საერთაშორისო ინსტიტუტს, რომელიც მუშაობს ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვაზე.

ასევე არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ინტერპოლის მნიშვნელოვან როლზე, კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1923 წელს შეიქმნა.

ინტერპოლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო 1985 წელს. გენერალური ასამბლეის 54-ე სხდომაზე, დიდ ბრიტანეთში მიღებული იქნა გადაწყვეტილება სპეციალური ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც მოახდენდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას.²⁹

1998 წელს, ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ მიიღო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის სახელმძღვანელო, სადაც გაწერილი იქნა პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება იქნეს გამოყენებული საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის სრულყოფისათვის. 2003 წლის 20 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოს 1456 რეზოლუციით, მიღებული იქნა ტერორიზმთან ბრძოლის დეკლარაცია³⁰.

ასევე არსებითი წვლილი ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში შეაქვეს რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ტერორიზმთან ბრძოლა მიმდინარეობს ევროპის საბჭოს, სამხრეთ-აზიური ასოციაციის რეგიონალური თანამშრომლობის (SAARC), ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციების (OAS), ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის (OIC) ფარგლებში.

2.2. საერთაშორისო სისტემა ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში

²⁹ გაეროს გენერალურის ასამბლეას 54-ე სხდომაზე მიღებული რეზოლუციები. 1999 წ., <http://research.un.org/en/docs/ga/quick/regular/54>

³⁰ გაეროს უშიშროების საბჭოს დეკლარაცია ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. 20.01.2003. https://www.un.org/ru/documents/decl_conv/decl2000.shtml

საერთოსახელმწიფოებრივ ღონისძიებათა პროგრამა ტერორიზმთან ბრძოლის უნდა იყოს ორიენტირებული მისი გამომწვევი ობიექტური ფაქტორების ლიკვიდაციისკენ, ან მისი კრიმინალური მიდრეკილების მაქსიმალური შემცირებისაკენ.

ტერორიზმთან ბრძოლის პროგრამა შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

- ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ღონისძიებები, რომელიც მოიცავს, როგორც ცალკეული სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონებს (მაგალითად, საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“), საერთაშორისო კონვენციებს ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ.

- საერთოგამაფრთხილებელი ზომები, მათ შორის კონტროლის დაწესება იარაღის „ბაზარზე“ და მასობრივი განადგურების სხვა საშუალებების რეალიზაციაზე;

- საერთოსახელმწიფოებრივი თანამშრომლობის ღონისძიებები ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში;

- სპეციალური ღონისძიებები (ოპერატიული, საგამომიებო, ტექნიკური და უსაფრთხოების) ტერორისტული წარმონაქმნების შესახებ პრევენციის მიზნით.

საერთაშორისო დოკუმენტებს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში შეადგენს:

- ევროპული კონვენცია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (27.01.1997)³¹;
- კონვენცია „საჰაერო ხომალდების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (16.12.1970); საქართველო შეუერთდა 07.12.1993წ.³²
- კონვენცია „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (23.09.1971); საქართველო მიუერთდა 07.12.1993წ.³³
- კონვენცია „საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ (14.12.1973)³⁴;

³¹ ევროპული კონვენცია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 27.01.1997წ. ქ. სტრასბურგი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1221899?publication=0>

³² საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე“ 07.12.1993. თბილისი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/37126?publication=0>

³³ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე“ 07.12.1993. თბილისი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/37126?publication=0>

- საერთაშორისო კონვენცია „მძევლების აყვანის წინააღმდეგ“ (18.12.1979)³⁵;
- ოქმი „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც ემატება 1971 წლის 23 სექტემბერს მონრეალში მიღებულ კონვენციას. (24.02.1988)³⁶ და სხვა.

2.3 პრევენციული ზომების ეფექტურობის შეფასება

მსოფლიო საზოგადოებამ თავისი არსებობის ისტორიაში შეაგროვა მრავალმხრივი და სასარგებლო ცოდნა მომავლისთვის, თუმცა სამწუხაროდ ვერ მოახერხა ამ ცოდნის გამოყენება სანდო იმუნიტეტის შექმნისთვის, მსოფლიო ცივილიზაციის წინააღმდეგ არსებული საფრთხის, როგორცაა ტერორიზმი, არიდებისთვის. ეს არის ფენომენი, რომელიც გადაიქცა გლობალურ პრობლემად საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში არსებულმა პრობლემებმა განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა მსოფლიო საზოგადოების მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში. გლობალიზაციის დროს მიმდინარე პროცესებს ახლავს როგორც დადებითი მხარე, ისე უდიდესი საფრთხე. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ დღევანდელ პირობებში ტერორიზმი ცალკეული სახელმწიფოებისთვის ნაციონალური პრობლემების ჩარჩოებს გაცდა და საერთაშორისო მამტაბებს მიაღწია. მიდინარე გლობალიზაციის პროცესებმა აჩვენა, რომ ტერორიზმი მუდმივად განიცდის ევოლუციას, იძენს სულ უფრო ახალ ფორმებს და უშვებს საკუთარი მიზნის მისაღწევად ძალადობის მეთოდების გამოყენებას. შესაბამისად, ხდება ამ მეთოდების ექსპორტირება მსოფლიოს სხვა რეგიონებში. თანამედროვე ტერორისტების მიერ სულ უფრო ხშირად ხდება დაშინების მეთოდის გამოყენება, პოლიტიკური ოპონენტების ჩამოშორება, სახელმწიფო ხელისუფლებაზე და მმართველობაზე ზეწოლა. მათი ქმედება წყალში უყრის ხელისუფლებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე გაწეულ ძალისხმევას, ხშირად ტერორისტები იყენებენ ძალადობას მათი სოციალური, რეგიონალური და ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

³⁴ კონვენცია „საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ . 14.12.1973წ., ქ. ნიუ-იორკი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1211070?publication=0>

³⁵ საერთაშორისო კონვენცია „მძევლების აყვანის წინააღმდეგ“.,18.12.1979., ქ. ნიუ-იორკი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1211102?publication=0>

³⁶ ოქმი „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც ემატება 1971 წლის 23 სექტემბერს მონრეალში მიღებულ კონვენციას სამოქალაქო ავიაციის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტების შესახებ. “ 24.02.1988წ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1212090?publication=0>

ტერორისტული ხასიათის დანაშაულებთან ბრძოლა არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე ტერორისთან ბრძოლა. შესაბამისად ეს პრობლემა კომპლექსურია, რომელიც მოითხოვს მთელი რიგი ღონისძიებების და ზომების გატარებას სახელმწიფოების მხრიდან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში, ასევე სამართალდამცავების მხრიდან, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას ამ დანაშაულების წინააღმდეგ. ეს მოიცავს არა მარტო ძალების მობილიზებას და განსახორციელებელი მოქმედებების კოორდინაციას, არამედ დიდ რესურსებს. ანუ, მიზანმიმართულ პოლიტიკას და სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში.

უნდა ითქვას, რომ ყველაზე თანამედროვე და სრულყოფილი კანონმდებლობაც კი თავისთავად არ წყვეტს ყველა პრობლემას, რომელიც ტერორიზმს ახლავს. პრევენციული ზომების გატარება, ტერორიზმის გამოვლინების საფუძვლის და მიზეზის ნეიტრალიზაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტერორისტული აქტების აღკვეთა და მისი მომწყობი პირების დასჯა. ტერორისტული აქტების რეალიზაციას ისეთი მაშტაბური პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი ხასიათის შედეგები მოყვება, იმის მიუხედავად, რომ წარმატებით განხორციელდა ამ აქტის ლოკალიზაცია და ტერორისტების დაკავება, აღნიშნული ოპერაცია ვერ მოახდენს იმ ზიანის კომპენსირებას რაც ამ ტერაქტმა გამოიწვია და არ შეიძლება შეფასდეს დადებითად.

სხვა სახელმწიფოების, უცხო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების გამოცდილება გვიჩვენებს რომ პრევენციული ღონისძიებები ასე თუ ისე ეფექტურია, თუმცა ამასთან რთულია და დიდ ფულად სახსრებს მოითხოვს. პრევენციული ზომების და მეთოდების მექანიზმი მოიცავს: გამოვლენას, აღკვეთას, ლოკალიზაციას, ტერორიზმის გამოვლინებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების მინიმიზაციას ან აღკვეთას, ასევე ტერორიზმის ხელშემწყობი და მისი მიზნების მიმდევარი პირების აღკვეთა.

პრევენციული საშუალებები და მეთოდები უნდა განხორციელდეს ადრე, სისტემურად და ინტენსიურად ტერორიზმის წარმოშობის ეტაპზე. სწორედ იმ ეტაპზე, როცა ხდება საფუძვლის და მიზნის ფორმირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეუძლებელია ეფექტური მექანიზმის შემუშავება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, თუ არ მოხდება მისი ბუნების და პირველადი მიზეზის გამოვლინების გარეშე.

თანამედროვე პირობებში ტერორიზმის მიზეზების აღკვეთის ყველაზე მისაღები და პერსპექტიული საშუალებებია პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივის საშუალებები. თანამედროვე პოლიტოლოგების და სპეციალისტების აზრით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მიზანშეწონილი იქნება, შესაბამისი

მეთოდების გამოყენება ყველაზე ადრეულ სტადიაზე, კონფლიქტის წარმოშობის საფუძვლის აღმოჩენისთანავე. თუ არ იარსებებს კონფლიქტი არ იქნება საფუძველი ტერორიზმის გამოვლინების. თუმცა, სამწუხაროდ სრულყოფილებისგან ჩვენი საზოგადოება შორსაა.³⁷

ტერორიზმის პრევენციისთვის, რომელსაც საფუძვლად უდევს რელიგიური დაპირისპირება, რელიგიური ფანატიზმი, აუცილებელია მიზანმიმართული, მუდმივი განმანათლებლური სამუშაოების ჩატარება მოსახლეობაში, არა მარტო თეოლოგიის სპეციალისტების მიერ, ეკლესიის ავტორიტეტების, არამედ იურისტების, ფსიქოლოგების, პედაგოგების და საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა წარმომადგენლების. აღნიშნული აუცილებელია ტერორიზმის იდეოლოგიური საფუძვლის გაღვივების თავიდან ასაცილებლად, რომლის საფუძველს წარმოადგენს იდეა საკუთარი რელიგიის დაცვის შესახებ. ამ დროს უნდა მოხდეს ისეთი სარწმუნო კონტრარგუმენტების შერჩევა, რომ გამოვლინდეს ამ იდეის ნამდვილი მიზანი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში არანაირი კავშირი არ აქვს რელიგიასთან. ტერორისტული გამოვლინებების წინააღმდეგ მუშაობის ორგანიზებისას, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჯგუფებს, რომელთა შემადგენლობაში ჭარბობს ახალგაზრდობა. სახელმწიფო ორგანოების მიერ ახალგაზრდებთან დამოკიდებულებაში უნდა გატარდეს განსაკუთრებული ღონისძიებები, რაც გულისხმობს ადეკვატურ რეაგირებას სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან, ეფექტური ბარიერების შექმნის კუთხით მათი კრიმინალურ სამყაროში ჩაბმის საწინააღმდეგოდ, ასევე პროფილაქტიკური ზომების გატარება ტერორისტულ აქციებში ჩართვის თავიდან აცილების მიზნით, განსაკუთრებით მუშა კატეგორიაში, სტუდენტურ, სამხედრო სფეროში და არაორგანიზებული ახალგაზრდების მიმართ.

კონვენციის წევრი სახელმწიფოების დაახლოება და ერთგვაროვანი ეროვნული კანონმდებლობის შექმნით, უფრო მეტად ხდება საერთაშორისო გამოცდილების დაგროვება სამართალდამცავ სტრუქტურებში ტერორიზმის პროფილაქტიკის კუთხით და კონტრტერორისტული ოპერაციების გატარების კუთხით.³⁸

დასავლეთ ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სახელმძღვანელო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში წარმოადგენს ერთ-ერთ აუციელებელ საერთაშორისო სახელმწიფოებრივ საკითხს.

ამ სფეროში საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;

³⁷ Постольник В., «Актуальность превентивных мер в борьбе с терроризмом», 2008., Альманах «Профессионал» №3. <http://sec4u.ru/text/1-analist/825/index.shtml>

³⁸ Постольник В., «Актуальность превентивных мер в борьбе с терроризмом», 2008., Альманах «Профессионал» №3. <http://sec4u.ru/text/1-analist/825/index.shtml>

- თანამშრომლობის გაძლიერება შესაბამის ფედერალურ ორგანოებს შორის.
- სპეციალური ქვედანაყოფების მობილიზაცია და ფედერალურ სტრუქტურებში, რომლებიც მუშაობენ ტერორიზმის პრობლემებზე, თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა და ტექნიკური მხარდაჭერა;

დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: არანაირ დათმობაზე წასვლა არ მოახდინონ ტერორისტებთან, მოახდინონ მაქსიმალური ზეწოლა იმ ქვეყნებზე, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორიზმს, გამოიყენონ მათ განკარგულებაში არსებული ძალა და საშუალება, მათ შორის სამხედრო ძალა, ტერორისტების დასასჯეელად, სხვა სახელმწიფოების დახმარება და მათთან თანამშრომლობა.

გაერომ მისი არსებობის მანძილზე ბევრი გააკეთა ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების და ორგანოების სიმრავლის მიუხედავად, რომლებიც საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას კოორდინირებენ, დღემდე არ არსებობს ერთიანი უნივერსალური შეთანხმება, რომლებიც მოახდენს საერთაშორისო ტერორიზმის განმარტებას, მისი იურიდიული ბუნების განსაზღვრას და პასუხისმგებლობას. არ არსებობს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიღებული აქტების სრულყოფილი ჩამონათვალი.

თავი 3. საქართველოს მონაწილეობა ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში

3.1 საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში

საქართველო აქტიურად არის ჩართული, როგორ შიდასახელმწიფოებრივ ისე საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. ამ მიზნით არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელშემკვერელი მხარე გახდა და გატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, ტერორიზმის პრევენციის, გამოვლების და აღკვეთის კუთხით.

2014 წლის 01 მაისს ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“, რომელიც შემუშავებული იქნა 2005 წლის 16 მაისს და ხელი მოწერა ქ. ვარშავაში. საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიცირება მოახდინა 2013 წლის 04 ოქტომბრის #1460 დადგენილებით.³⁹

კონვენციის მონაწილეა 38 სუბიექტი, მათ შორის ევროსაბჭოს 37 წევრი სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია ევროკავშირის სახით. რატიფიცირება მოახდინა 25-მა ქვეყანამ, ესენია: ალბანეთი, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, უნგრეთი, ლატვია, მალტა, მაკედონია, მონტენეგრო, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სანმარინო, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, საქართველო, სომხეთი, ესპანეთი, შვედეთი, უკრაინა. რატიფიცირება ჯერ არ მოუხდენია შემდეგ ხელმომწერ 13 მხარეს: ავსტრია, დანია, ესტონეთი, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, იტალია, ისლანდია, ლუქსემბურგი, რუსეთი, თურქეთი და ევროკავშირი.

აღნიშნულ კონვენციაში ხაზგასმულია თანამშრომლობისთვის საერთაშორისო სისტემის შექმნის აუცილებლობაზე და საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღების საჭიროებაზე. კერძოდ, მეორე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს კონვენციის გამოყენებას ტერორიზმის დაფინანსებასთან მიმართებაში, სადაც წერია, რომ „თითოეულმა მონაწილემ უნდა უზრუნველყოს, რომ მას აქვს უკანონო ან უკანონო წარმოშობის ქონების ან ამ დანაშაულით მიღებული შემოსავალის, მოძიების, გამოვლების, ამოცნობის, დაყადაღების, ამოღების და კონფისკაციის შესაძლებლობა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ, გამოიყენება ან გამოყოფილია ნებისმიერი გზით

³⁹ ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“. 16.05.2005., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/2345907?publication=0>

გამოსაყენებლად ტერორიზმის დასაფინანსებლად და უზრუნველყოს ამ მიზნით თანამშრომლობა მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში.⁴⁰

კონვენციით, თითოეულ მონაწილეს დაევალა ფინანსური დაზვერვის სამსახურის შექმნისთვის შესაბამისი ზომების გატარება. ასეთ სამსახურს ჩვენთან წარმოადგენს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

საქართველოს მიერ გატარებული იქნა კონვენციით გათვალისწინებული ზომები, რაც მოიცავს შესაბამისი ნორმატიული აქტების შექმნას. კერძოდ, მიღებული იქნა :

1. საქართველოს მთავრობის #352 დადგენილება (23/12/2013) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“⁴¹;

2. საქართველოს მთავრობის #236 დადგენილება (18/03/2014) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“⁴²

3. საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ⁴³. რომლის მიღების საფუძველად, განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ტერორიზმის აქტუალობიდან გამომდინარე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა ტერორიზმის აღმოფხვრისაკენ მიმართული თორმეტი კონვენცია, რომლებსაც ეფუძნება როგორც ევროპის კავშირის მიერ მიღებული ჩარჩო გადაწყვეტილება, ისე „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ევროპული კონვენცია და მისი შემცვლელი ოქმი. ასევე მიღებული იქნა მთელი

⁴⁰ ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“. 16.05.2005., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/2345907?publication=0>

⁴¹ საქართველოს მთავრობის #352 დადგენილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.23.12.2013წ. თბილისი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2150844?publication=4>

⁴² საქართველოს მთავრობის #236 დადგენილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 18/03/2014წ., თბილისი.საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2284180?publication=3>

⁴³ საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, 27.06.2007 წ., თბილისი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/21796?publication=11>

რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები ტერორიზმთან სამართლებრივი ბრძოლის განსამტკიცებლად.

ამ კანონპროექტის მიღების მიზანი იყო საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზაციის ფორმებისა და სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფდა ტერორისტული საფრთხისაგან პიროვნების, საერთაშორისო ორგანიზაციების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვას.⁴⁴

4. საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, რომლის საფუძველზე ხორციელდება უკანონო შემოსავლების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით შესაბამისი მონიტორინგის განხორციელება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან.

ამ კანონის მიღების მიზანი იყო საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.⁴⁵

2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის მე-12 მუხლის შესაბამისად, მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის მნიშვნელობა და „თანხმდებიან, რომ ერთად იმუშავენ, როგორც ორმხრივ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რათა მოახდინონ ტერორიზმის პრევენცია და იბრძოლონ ტერორიზმის ყველანაირი ფორმისა და გამოვლინების წინააღმდეგ.“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ „მხარეები ხაზს უსვამენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული გაეროს ყველა კონვენციისა და ოქმის უნივერსალური რატიფიკაციისა და მათი სრულად იმპლემენტაციის მნიშვნელობას.“⁴⁶

ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე საუბარია ამ შეთანხმების მე-19 და 116-ე მუხლებშიც, სადაც მიუთითებენ ტერორიზმის ნებისმიერი ფორმის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ერთობლივ თანამშრომლობაზე. ასევე მნიშვნელოვანია ტერორიზმის დაფინანსების წყაროების აღმოფხვრა.

კერძოდ, მე-19 მუხლის „ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება“ შესაბამისად, მხარეები ითანამშრომლებენ, რათა არ დაუშვან მათი ფინანსური და შესაბამისი არაფინანსური სისტემების გამოყენება ზოგადად, კრიმინალური

44 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონპროექტზე „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/128792?>

45 საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, 06.06.2003წ. თბილისი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/12580?publication=35>

46 ასოცირების შეთანხმება ევროკავშირის და ევროპული ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის. 27.06.2014. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი: <http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>

საქმიანობების და კერძოდ, ნარკოტიკული დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლების გათეთრებისა და აგრეთვე ტერორიზმის დაფინანსების მიზნით; ეს თანამშრომლობა ასევე ვრცელდება დანაშაულის შედეგად მიღებული აქტივების ან ფულადი სახსრების დაბრუნებაზე“.

ამავე შეთანხმების 116-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „თითოეული მხარე მაქსიმალურად ეცდება, რომ უზრუნველყოს საკუთარ ტერიტორიაზე, ფინანსური მომსახურების სექტორის რეგულირების და ზედამხედველობის, გადასახადების გადაუხდელობასა და არიდებასთან ბრძოლის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების გამოყენება. ასეთი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებია, მათ შორის, ბაზელის კომიტეტის „საბანკო სექტორის ეფექტიანი ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები“, დაზღვევის ზედამხედველობის საერთაშორისო ასოციაციის „დაზღვევის პრინციპები“, ფასიანი ქაღალდების რეგულატორთა საერთაშორისო ორგანიზაციის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის ამოცანები და პრინციპები“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „შეთანხმება გადასახადებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლაზე“, დიდი ოცეულის (G20) „საგადასახადო ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის დებულება“ და ფინანსური მოქმედების სამუშაო ჯგუფის „ორმოცი რეკომენდაცია ფულის გათეთრებაზე“ და „ცხრა რეკომენდაცია ტერორიზმის დაფინანსებაზე“.

მხარეები ასევე მხედველობაში იღებენ დიდი შვიდეულის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების მიერ გამოქვეყნებულ „ინფორმაციის გაცვლის ათ ძირითად პრინციპს“ და მიიღებენ ზომებს ორმხრივ ურთიერთობებში მათი გამოყენებისათვის“.

საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულია კანონპროექტი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“⁴⁷, რომელიც ჩაანაცვლებს მოქმედ კანონს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“. კანონპროექტის განმარტებით ბარათში, მისი მიღების აუცილებლობა გამოწვეულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის კანონში წლების განმავლობაში შესული ცვლილებების და დამატებების შედეგად, მოქმედი კანონის სტრუქტურა და ნორმების ნაწილი რთულად აღსაქმელი და ბუნდოვანი გახდა.⁴⁸

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოები, მათი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობენ, როგორც ადგილობრივ

⁴⁷ საქართველოს კანონი (პროექტი) „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ 2019წ. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/223535?>

⁴⁸ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ.“ 10.06.2019. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/223536?>

ისე სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ევროსაბჭო, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FAFT) და სხვა) საჭირო ინფორმაციის მიღების, გამოძიების, სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტილებების აღსრულების სტადიაზე.⁴⁹

უკანონო შემოსავლის ლეგალიზების შესახებ კანონის მიხედვით, განსაზღვრულია, როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, ისე მათი საზედამხედველო ორგანოები. ესენია (მუხლი 4):

1. საქართველოს ეროვნული ბანკი - ზედამხედველობს კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, არასაბანკო-სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საბროკერო კომპანიების და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვას;
2. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური - სადაზღვევო კომპანიების და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვას;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშოების ორგანიზატორებისათვის, ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის, შემოსავლების სამსახურისათვის, სალიზინგო კომპანიებისათვის, გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირებისათვის;
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - ნოტარიუსებისათვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის;
5. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური - იმ პირებისთვის, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას;
6. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - ადვოკატებისათვის.

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების სახეობას და ადგენს მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც უნდა მოახდინოს მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა კლიენტის იდენტიფიცირება და გარიგების შეფასება, წარმოადგენს იგი საეჭვოს, უზვეულოს, მაღალი რისკის შემცველს და სხვა. საქართველოს კანონმდებლობა საკმაოდ დიდ საჯარო სახეობებს ითვალისწინებს ამ კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის არასათანადო განხორციელებისთვის.

⁴⁹ საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, 06.06.2003წ. თბილისი. მუხლი 13. , საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/12580?publication=35>

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიულ პირია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო თათბირებზე, საბჭოებსა და ორგანიზაციებში. მისი მიზანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლიდ ხელშეწყობა. იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. კანონმდებლობით დადგენილი მიზნებიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს მონიტორინგის განმახორციელებელ პირებთან, მათ ზედამხედველობის ორგანოებთან, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე სხვადასხვა ქვეყნის მსგავსი ფუნქციების მქონე სამსახურებთან.⁵⁰

ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, საქართველოში ასევე შექმნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია. კომისია უზრუნველყოფს ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებას, რათა ამ პირებმა არ განახორციელონ ტერორისტული ან სხვა უკანონო საქმიანობის დაფინანსება ან სხვა ფორმით მხარდაჭერა. ამ მიზნით, კომისია თანამშრომლობს საქართველოს და უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, გაეროსთან. (იხ., უკანონო შემოსავლის ლეგალიზების შესახებ საქართველოს კანონის მე-13¹ მუხლი).

საერთაშორისო ორგანიზაციის - ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FAFT) მიერ, რომლის მიზანია ფულის გათეთრების და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ადგილობრივი და საერთაშორისო პოლიტიკის განვითარება, გამოცემული იქნა 40+9 რეკომენდაცია, რომელთა გადახედვა/რევიზია ხორციელდება 5 წელიწადში ერთხელ. დღეის მდგომარეობით FATF-ში შედის 35 წევრი ქვეყანა და ორი საერთაშორისო ორგანიზაცია.

FATF-ის მიერ 40 რეკომენდაციის გარდა, შემუშავებული იქნა 9 სპეციალური რეკომენდაცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ. კერძოდ:

1. გაეროს მიერ მიღებული ინსტრუმენტების მიღება და რატიფიკაცია. ყოველმა ქვეყანამ უნდა მოახდინოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება და რატიფიკაცია გაეროს 1999 წელს მიღებული კონვენციის „ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, ასევე გაეროს რეზოლუცია #1373, 28.09.2001 წლის ტერორისტული აქტების აღკვეთის შესახებ.

⁵⁰ საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ .. 06.06.2003წ. თბილისი.

2. დაწესდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ტერორიზმის დაფინანსებისთვის და მასთან დაკავშირებული საქმიანობისთვის ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით.

3. ტერორისტების კუთვნილი ფულადი სახსრების და აქტივების დაყადაღება და კონფისკაცია.

4. საექვო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომლებიც დაკავშირებულია ტერორისტულ საქმიანობასთან.

5. საერთაშორისო თანამშრომლობა. ყველა ქვეყანამ ხელშეკრულების, შეთანხმების ან სხვა საშუალებებით, უნდა მოახდინოს საერთო მხარდაჭერა და თანამშრომლობა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართალდარღვევებსა და ადმინისტრაციულ გამოძიებაში, სასამართლო დავებში, რომლებიც დაკავშირებულია ტერორიზმის დაფინანსებასთან, ტერორისტულ აქტებთან ან ტერორისტულ ორგანიზაციებთან.

6. ფულის გადარიცხვის ალტერნატიული სისტემა. ყოველი ქვეყანა უნდა დარწმუნდეს, რომ პირები და სამეწარმეო სუბიექტები, მათ შორის აგენტები, რომლებიც ახორციელებენ ფულადი სახსრების გადარიცხვას ან აქტივების, უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ლიცენზია ან უნდა იყვნენ დარეგისტრირებული, ამასთან იცავდნენ FATF-ის რეკომენდაციებს.

7. უნაღდო ანგარიშსწორება. ქვეყანამ უნდა დაავალდებულოს ფინანსური დაწესებულება, მათ შორის ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ ფულადი სახსრების გადარიცხვას, მოახდინონ კლიენტის შესახებ სრული და სანდო ინფორმაციის მოპოვება (სახელი, მისამართი და ანგარიშის ნომერი);

8. არაკომერციული ორგანიზაციები. ქვეყნების მიერ უნდა მოხდეს კანონმდებლობის გადახედვა, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციების საქმიანობას, ვინაიდან აღნიშნული შეიძლება უკანონოდ იქნეს გამოყენებული ტერორიზმის დაფინანსების მიზნით. მეტწილად ასეთი რისკის ქვეშ არიან არაკომერციული ორგანიზაციები, შესაბამისად, სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ ისინი არ იქნებიან გამოყენებული:

- ტერორისტული ორგანიზაციების მიერ, როგორც ლეგიტიმური საფარი;
- როგორც ოპერაციის გატარების საშუალება, ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებისთვის, მათ შორის, კომპეტენტური ორგანოების მიერ გატარებული ზომების - აქტივების ყადაღის კუთხით, თავიდან არიდების მიზნით;
- აქტივების უკანონო წარმომავლების დაფარვის საშუალებად, რომელიც განკუთვნილია ტერორისტული ორგანიზაციების მომავალი მოხმარებისათვის.

9. ნაღდი ფულის გადატანა. ქვეყნებს უნდა ქონდეთ შესაბამისი ზომები გატარებული, საზღვარზე ფინანსური სახსრების და ფასიანი ქაღალდების აღმოჩენის კუთხით, დეკლარირების სისტემის და სხვა სავალდებულო ინფორმირების ჩათვლით.⁵¹

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ტერორიზმის დაფინანსების სამ ძირითად წყაროს:

1. სახელმწიფოები და ორგანიზაციები;
2. შემოქმედებითი საქმიანობით მიღებული შემოსავლები (ფონდი, შემოწირულობა, კულტურული წვეულება და სხვა);
3. დანაშაული.⁵²

3.2 საერთაშორისო ნორმები ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში და მისი ასახვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველომ ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში არსებულ მრავალ საერთაშორისო კონვენციას და ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მათ შორის აღსანიშნავია,

- „ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მიღების თარიღი: 27/01/1977წ; ⁵³, საქართველოს პარლამენტის 27.09.2000 წლის დადგენილებით, მოხდა მისი რატიფიცირება;⁵⁴
- გაეროს კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“, მიღებული 10/01/2000წ;⁵⁵ საქართველოს პარლამენტის 07.07.2002 წლის დადგენილებით, მოხდა მისი რატიფიცირება.⁵⁶
- გაეროს კონვენცია „ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე“, მიღებულია 06.04.2010;⁵⁷

⁵¹ სპეციალური რეკომენდაციები ტერორიზმის დაფინანსების შესახებ. 22.10.2004. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური გვერდი: https://www.fms.gov.ge/Uploads/files/fatf_9.pdf

⁵² დვალაძე ი. „ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“.,<http://www.dgstz.de/storage/documents/TIPwJYBA1yM9czBniduKe72UfryMie6wAfiea8IA.pdf>. ასევე. Benton, E. Gup, Money Laundering, Financing Terrorism and Suspicious Activities. 2007, გვ.40-42.

⁵³ ევროპული კონვენცია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“27/01/1997წ. ქ. სტრასბურგი

⁵⁴ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპული კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ 27.09.2000 წ. თბილისი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/40420?publication=0>

⁵⁵ საერთაშორისო კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ 10.01.2000წ. გაეროს ნიუ-იორკის შტაბბინა. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1216754?publication=0>

⁵⁶ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ 07.07.2002 წ. თბილისი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41380?publication=0>

- ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ მიღებული 16.05.2005წ.⁵⁸ საქართველოს პარლამენტის 04.10.2013 წლის დადგენილებით, მოხდა მისი რატიფიცირება⁵⁹ და სხვა.

ევრო კავშირის ორგანოების და წევრი სახელმწიფოების მიერ არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი იქნა შემუშავებული, ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით. კერძოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებით, პირველად მოხდა ტერორისტული დანაშაულის შემადგენელი ნიშნებისა და სანქციების განსაზღვრა.

2005 წლის 20 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება, „ტერორისტულ დანაშაულებზე ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ“, მიზნად ისახავს წევრ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლის გაძლიერებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავი ეთმობა ტერორიზმს, რომელიც მოიცავს ტერორისტული აქტის განმარტებას და მასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის თუ ქმედებებისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მითითებული ზოგიერთი დანაშაული შეიცავს ტერორისტული დანაშაულისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. კერძოდ,

სსკ⁶⁰-ის 227-ე მუხლი „საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება“,

წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის (სსკ-227¹) და საჰაერო ხომალდისთვის (სსკ-227³) საშიშროების შექმნა,

სსკ-ის 228-ე მუხლი „მეკობრეობა“,

⁵⁷ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე. 06.04.2010წ. თბილისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/107332?publication=0>

⁵⁸ ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“. 16.05.2005წ. ვარშავა. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2345907?publication=0>

⁵⁹ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ 04.10.2013 წ. თბილისი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2046451?publication=0>

⁶⁰ ტექსტში სისხლის სამართლის კოდექსი შემოკლებულია და მოიხსენება როგორც სსკ.

სსკ-ს 231-ე მუხლი „ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება“,

სსკ-ს 231¹ მუხლი „ბირთვული ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგოდ მოთხოვნა“,

სსკ-ს 231² მუხლი „ბირთვული ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ან გამოყენების მუქარა“,

სსკ-ს 232-ე მუხლი „ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება“.

აღნიშნული მუხლების განხილვის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ტერორისტული ხასიათის დანაშაულები არ არის ერთად თავმოყრილი.⁶¹

2015 წლის ივნისის თვეში, საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ, რომლის მიზანი იყო ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის პასუხისმგებლობის გამკაცრება, რაც ნაკარნახევი იყო საქართველოს კანონმდებლობაში საერთაშორისო ხასიათის ნორმათა იმპლემენტაციით.

კერძოდ, 223-ე მუხლის შესაბამისად, „უკანონო ფორმირების შექმნა, ხელმძღვანელობა, ასეთ ფორმირებაში გაწევრება, მონაწილეობა ან/და უკანონო ფორმირების სასარგებლოდ სხვა საქმიანობის განხორციელება ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამი წლიდან ზემოთ, დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე.“⁶²

ცვლილებების შედეგად, ამ მუხლის შენიშვნაში აღარ გვხვდება შესაბამისი ნორმა, რომელსაც სსკ-ს თავდაპირველი რედაქცია მოიცავდა და რითაც „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილე პირი, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად შეუწყობს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.“⁶³ მითითებული ცვლილება ნაწილობრივ შეესაბამება 13.06.2002 წლის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო

⁶¹ დვალიძე ი., „ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“. თბილისი, 2017წ.

⁶² საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 12.06.2015წ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2880955#DOCUMENT:1;>

⁶³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, პირველადი სახე 13.08.1999-08.09.1999., მუხლი 323., თბილისი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?impose=parallel&p1=208&p2=0&fullscreen=1&publication=208>

ხელშეკრულებას (მე-6 მუხლი), რომელიც ასეთ სიტუაციებში პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულ გათავისუფლებას კრძალავს, თუმცა მასში გათვალისწინებულია სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობა, რაც საქართველოს კანონმდებლობაში არ იქნა იმპლემენტირებული.

სსკ-ს თავდაპირველი რედაქციით, **ტერორისტული მიზანი**, მხოლოდ ტერორისტული აქტის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის დისპოზიციამდე გვხვდებოდა, ხოლო სსკ-ს XXVIII თავში მოცემული ტერორისტული დანაშაულების სუბიექტურ შემადგენლობებში მხოლოდ ტერორისტულ მიზანზე იყო მითითება, რაც მოუხერხებელი იყო სხვა ქმედებათა ტერორისტულ დანაშაულად კვალიფიკაციისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კარგია, რომ მოხდა სსკ-ს 323-ე მუხლში (შენიშვნაში) ტერორისტული მიზნის დეფინიცია, რომელიც მნიშვნელოვან და აუციელებელ ორიენტირს წარმოადგენს სსკ-ს XXVIII თავში მოცემული დანაშაულებების სუბიექტური შემადგენლობის განსაზღვრისთვის.

სსკ-ს თავდაპირველი რედაქციამ ტერორიზმის მიზნად მხოლოდ მოსახლეობის დაშინებას და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედებას განსაზღვრავდა. ცვლილებებით, ტერორიზმის მიზანი უფრო ფართო მნიშვნელობის გახდა და შემდეგნაირად განისაზღვრა:

ა) მოსახლეობის დაშინება; ან

ბ) ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება; ან

გ) ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება.⁶⁴

სსკ-ს 324-ე მუხლი „ტექნოლოგიური ტერორიზმი“-ს მე-3 ნაწილში, ტერორისტული აქტის მიზნად არა ზოგადად მოსახლეობაა მითითებული როგორც ადამიანთა ფართო მასები, არამედ სამიზნე ობიექტებს წარმოადგენენ ფიზიკური ან იურიდიული პირი. კერძოდ, „ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური, ან ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის ან მისი კომპონენტის, პათოგენური მიკროორგანიზმის, რადიაქტიული ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე და სხვა ნივთიერების გამოყენება, მათ შორის ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ანდა ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდება,

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი., 22.07.1999წ., თბილისი, მუხლი 323.

ჩადენილი ფიზიკური და იურიდიულ პირებზე ზემოქმედების ან ტერორისტული მიზნით“⁶⁵;

სსკ-ს 329-ე მუხლი „მძევლის ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით“, ტერორისტულ მიზანთან ერთად მიუთითებს ასევე რელიგიური ორგანიზაციის მიზანზეც, რაც განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს კანონმდებლობით ტერორისტულ მიზანში მუქარის ადრესატად მოხსენიებული არ არის რელიგიური ორგანიზაცია.⁶⁶

გაეროს კონვენციის „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ საფუძველზე მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 331¹-ე მუხლის „ტერორიზმის დაფინანსება“ დამატება. სსკ-ს თავდაპირველ ვერსიაში, ტერორისტული აქტის დაფინანსება დანაშაულში თანამონაწილეობად (დახმარებად) კვალიფიცირდებოდა.⁶⁷

საქართველოს კანონმდებლობით, სსკ-ს 327¹ მუხლით, ასევე დასჯადად გამოცხადდა ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრება ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის პირის გადაბირება.

ასევე პირდაპირ აისახა ტერორისტულ დანაშაულთა თავში,

- საჰაერო ან წყლის ხომალდის, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ან სხვა საზოგადოებრივი ან სატვირთო ტრანსპორტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, ჩადენილი ტერორისტული მიზნით (სსკ 329¹ მუხლი);
- ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისკენ საჯაროდ მოწოდება (სსკ, 330¹ მუხლი);
- წვრთნის ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის (სსკ, 330² მუხლი)⁶⁸

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, თითქმის სრულად პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებით და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

⁶⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი., 22.07.1999წ., თბილისი, მუხლი 324.3;

⁶⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი., 22.07.1999წ., თბილისი, მუხლი 329;

⁶⁷ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“ 25.07.2006წ. თბილისი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/24490?publication=0>

⁶⁸ დვალაძე ი. „ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“ 2017 წ. თბილისი

თავი 4. დასკვნა

უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმის დაფინანსება წარმოადგენს საერთაშორისო ხასიათის პრობლემას, რაც გულისხმობს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისთვის უნდა ამოქმედდეს არა მარტო ამ მიზნისთვის შექმნილი ანტიტერორისტული ცენტრები ან სამართალდამცავი ორგანოები და სპეცსამსახურები. არამედ, ამ საერთაშორისო საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისთვის უნდა მოხდეს ყველა სახელმწიფო სტრუქტურების და საზოგადოებრივი ძალების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაერთიანება. აუცილებელია ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება.

ტერორიზმი წარმოადგენს კაცობრიობის გლობალურ პრობლემას. აღნიშნული მოვლენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ დანაშაულებთან და აქტიურად ფინანსდება ამ დანაშაულების შედეგად. სწორედ ამიტომ ტერორიზმის დაფინანსების წყაროების შესწავლა აუცილებელია. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდი მისი დაფინანსების შეწყვეტაა. ტერორიზმის დაფინანსების შემცირება შეამცირებს მისი გავლენის და მოქმედების არეალს.

აუცილებელია მოხდეს სხვადასხვა რასის წარმომადგენელთათვის მისაღები პირობების შექმნა ნორმალური და თანაბარი განვითარებისთვის და მოხდეს მათი ინტერესების რეალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური ნიშნით კონფლიქტის აღმოფხვრას.

გარდა ამისა უნდა გატარდეს პრევენციული ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება ტერორიზმის დაფინანსების ტენდენციების ლოკალიზებისა და ნეიტრალიზაციისკენ. აუცილებელია გატარდეს ზომები საზღვრის დაცვის გაძლიერების მიზნით, მოხდეს კონტროლის გაძლიერება საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ შექმნილ ორგანიზაციებზე. მოხდეს ქვეყნის სოციალური ფონის გაუმჯობესება, უმუშევართა რაოდენობის შემცირებით და ისეთი სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტით, რაც საზოგადოებრივ დამაბულობას შეამცირებს და გაანეიტრალებს პოტენციურ სოციალურ ექსცესებს. ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში იქნება ტერორისტული ორგანიზაციების, პირების, და ქვეყნების სიის შექმნა.

მხოლოდ თათბირები და ხელშეკრულებების გაფორმება არასაკმარისია ტერორიზმის დაფინანსების აღმოსაფხვრელად. ეფექტური ქმედება საერთაშორისო ტერორიზმის საწინააღმდეგოდ იქნება კომპლექსური პროგრამის შემუშავება და მისი რეალიზაცია, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ/საკანონმდებლო, იდეოლოგიურ და სხვა ასპექტებს. ამ პროგრამაში აუცილებლად უნდა მოხდეს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება, ასევე

ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია საზოგადოების ყველა ძალის, რომლებიც ამ პრობლემის გადაწყვეტით არიან დაინტერესებულნი.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ეტაპობრივად ახორციელებს სამართლებრივი ბაზის შექმნას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. ტერორიზმის დაფინანსების და ფულის გათეთრების აღკვეთის მიზნით შექმნილია ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც კოორდინირებას უწევს სხვადასხვა ორგანიზაციების და პირების მიერ საქმიანობის პროცესში დადებული გარიგებების მონიტორინგს, რაც გამოიხატება მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტების ვალდებულებაში, მოახდინონ გარკვეული გარიგებების, მაგალითად, თუ გარიგების მოცულობა აჭარბებს 3000 ლარს, და მისი დამდები პირების იდენტიფიცირება, რაც მოიცავს როგორც პირის იდენტიფიკაციას შესაბამისი საბუთის საფუძველზე (პასპორტი, პირადობის მოწმობა, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი და სხვა), ასევე გარიგების მიზნობრიობის შესწავლა და რისკის დონის განსაზღვრა. თუ მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტი მიიჩნევს, რომ გარიგება საეჭვოა, შეიძლება ემსახუროდეს ტერორიზმის დაფინანსებას და სხვა, დაუყოვნებლივ ახდენს ოპერაციის წარმოებას და მის ხელთ არსებულ ინფორმაციას დალუქული კონვერტით უგზავნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, რომელიც ახდენს ამ ოპერაციის შეფასებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ასევე არსებობს ტერორისტების სია, რომელიც ხელმისაწვდომია მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის და მათი ვალდებულებაა ყველა პირის გადამოწმება მოახდინონ ამ სიაში.

მართალია ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმი არსებობს, მაგრამ იგი გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს, კერძოდ, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა საკანონმდებლო მასალა და მათ შორის FATF-ის რეკომენდაციები, რომელიც ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. სწორედ აღნიშნული რეკომენდაციებია ბაზისი საქართველოს კანონისა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც მთავარ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს ამ სფეროს რეგულირების. თუმცა აღნიშნული რეკომენდაციები ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, თუ მათ ინგლისური ენა არ იციან ვერ ახდენენ მისი მოვალეობების სრულყოფილ ანალიზს და მათ მიერ არ ხდება ამ სფეროში ხარისხიანი მონიტორინგი. საქართველოს კანონი კი შეიცავს ზოგად მითითებებს მონიტორინგის განხორციელების თაობაზე და არ იძლევა იმის აღქმის საშუალებას თუ როგორ უნდა მოხდეს რისკის დონის შეფასება და რა კრიტერიუმებით. აღნიშნული კი ხდება მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტების მასობრივი დაჯარიმების საფუძველი. ამაში კი გარკვეულწილად სახელმწიფოს ბრალიცაა არასათანადო და არაჯეროვანი ნორმატიული აქტის

მიღებისთვის. მართალია დღეის მდგომარეობით საქართველოს პარლამენტში შესულია ამ კანონის ახალი ვერსია, თუმცა სრულყოფილებისგან ისიც შორსაა.

შესაბამისად, თუ სახელმწიფოს მიზანია მოახდინოს ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა, აუცილებელია მოახდინოს არსებული ნორმატიული აქტების დახვეწა, მეთოდური მითითებების შექმნა მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტებისთვის, შესაბამისი ტრენინგების ჩატარება და მათში ამ სუბიექტების სავალდებულო ჩართვა, საერთაშორისო აქტების და რეკომენდაციების ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობა. ასევე ხელი შეუწყოს პირის იდენტიფიცირების შედეგად მიღებული მონაცემების გადამოწმების მიზნით შესაბამისი წყაროების (სამოქალაქო რეესტრი, პოლიტიკურად აქტიურ პირთა ბაზა და სხვა) ხელმისაწვდომობას არსებული გადასახადების გაუქმებით.

მითითებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მონიტორინგის განმახორციელებელ სუბიექტებს, სრულყოფილად და მარტივად მოახდინონ პირის იდენტიფიკაცია და გარიგების რისკის დონის შეფასება.

ნაშრომში ჩატარებული კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ისეთი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავდა ტერორიზმის დაფინანსებას და დაიცავდა საზოგადოებას მისი საფრთხისაგან. ისეთი მძლავრი სახელმწიფოებიც კი, როგორც აშშ-ა უძღვრის აღმოჩნდა ამ დანაშაულის მიმართ, აქედან გამომდინარე, ერთადერთი გზა ამ დანაშაულთან ბრძოლის არის მსოფლიო ქვეყნების გაერთიანება და კოორდინირებული მუშაობა მის აღმოსაფხვრელად, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება რელიგიურ საკითხებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გორაშვილი გ. სადოქტორო ნაშრომი „ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება“, თბილისი 2011წ.,
2. ასათიანი გ. „თანამედროვე ტერორიზმი - წარმოშობის ისტორია, კლასიფიკაცია და პრევენციის საკითხები“. <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Law/AsatianiGeorge.pdf>
3. დვალაძე ი. „ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, სტატია გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალიდან. <http://www.dgstz.de/storage/documents/TIPwJYBA1yM9czBniduKe72UfryMie6wAfiea8IA.pdf>
4. ჭილიტაშვილი ა., დისერტაცია „ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში“, თბილისი 2009წ.,
5. ხუციშვილი გ. „ტერორიზმი. რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ“ ; თბილისი 2003წ.,
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; 22.07.1999წ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=208>
7. საქართველოს კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, 27.06.2007 წ., თბილისი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/21796?publication=11>
8. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 12.06.2015წ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2880955#DOCUMENT:1;>
9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, პირველადი სახე 13.08.1999-08.09.1999., მუხლი 323., თბილისი.საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?impose=parallel&p1=208&p2=0&fullscreen=1&publication=208>
10. საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, 06.06.2003წ. თბილისი.,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/12580?publication=35>
11. საერთაშორისო კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ 10.01.2000წ. გაეროს ნიუ-იორკის შტაბბინა. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1216754?publication=0>

12. ასოცირების შეთანხმება ევროკავშირს და ევროპული ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის. 27.06.2014. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი: <http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>
13. გაეროს 748 რეზოლუცია. 31.03.1992. გაეროს ვებ გვერდი: <https://documents-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/011/07/IMG/NR001107.pdf?OpenElement>
14. გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 რეზოლუცია. 28.09.2001. გაეროს ვებ გვერდი: [https://undocs.org/S/RES/1373\(2001\)](https://undocs.org/S/RES/1373(2001))
15. გაეროს უშიშროების საბჭოს 1267 რეზოლუცია. 15.10.1999. გაეროს ვებ გვერდი: [https://undocs.org/S/RES/1267\(1999\)](https://undocs.org/S/RES/1267(1999))
16. გაეროს უშიშროების საბჭოს 1989 რეზოლუცია. 17.06.2011. გაეროს ვებ გვერდი: [https://undocs.org/S/RES/1989\(2011\)](https://undocs.org/S/RES/1989(2011))
17. გაეროს გენერალურის ასმბლეას 54-ე სხდომაზე მიღებული რეზოლუციები.1999 წ, გაეროს ვებ გვერდი: <http://research.un.org/en/docs/ga/quick/regular/54>
18. გაეროს უშიშროების საბჭოს დეკლარაცია ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. 20.01.2003. გაეროს ვებ გვერდი: https://www.un.org/ru/documents/decl_conv/decl2000.shtml
19. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონპროექტზე „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/128792?>
20. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ.“ 10.06.2019. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/223536?>
21. ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.,27.01.1977., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1221899?publication=0>
22. ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“. 16.05.2005., ვარშავა. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/2345907?publication=0>
23. კონვენცია „საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ 14.12.1973წ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1211070?publication=0>
24. ოქმი „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც ემატება 1971 წლის 23 სექტემბერს მონრეალში მიღებულ კონვენციას სამოქალაქო ავიაციის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტების შესახებ. “

- 24.02.1988წ.,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი:
<https://matsne.gov.ge/document/view/1212090?publication=0>
25. რეკომენდაციები FATF. 2012წ. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური გვერდი: https://fms.gov.ge/Uploads/files/fatf_40.pdf
26. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“ 25.07.2006წ. თბილისი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/24490?publication=0>
27. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე“ 07.12.1993. თბილისი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი:
<https://matsne.gov.ge/document/view/37126?publication=0>
28. საქართველოს მთავრობის #352 დადგენილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.23.12.2013წ. თბილისი.საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2150844?publication=4>
29. საქართველოს მთავრობის #236 დადგენილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 18/03/2014წ., თბილისი.საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2284180?publication=3>
30. საქართველოს კანონი (პროექტი) „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ 2019წ. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი:
<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/223535?>
31. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპული კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ 27.09.2000 წ. თბილისი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/40420?publication=0>
32. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ 04.10.2013 წ. თბილისი.საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2046451?publication=0>

33. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირების თაობაზე“ 07.07.2002 წ. თბილისი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/41380?publication=0>
34. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე. 06.04.2010წ. თბილისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/107332?publication=0>
35. საერთაშორისო კონვენცია „მძევლების აყვანის წინააღმდეგ“.,18.12.1979., ქ. ნიუ-იორკი., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი: <https://matsne.gov.ge/document/view/1211102?publication=0>
36. სპეციალური რეკომენდაციები ტერორიზმის დაფინანსების შესახებ. 22.10.2004. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ოფიციალური გვერდი: https://www.fms.gov.ge/Uploads/files/fatf_9.pdf
37. უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტი. <http://www.un.org/ru/sc/ctc/>
- 38.
39. Benton, E. Gup, Money Laundering, Financing Terrorism and Suspicious Activities. 2007,
40. Suarez A.R. Parasites and Predators: Guerrillas and the Insurrection Economy of Colombia. Journal of international Affairs. Spring 2000. Vol 53. #2.
41. Schneider F. The hidden financial flows of Islamic terrorist organisations: Some preliminary results from an economic perspective. 2002.
42. Орлова М.Е. Ирландский терроризм и опыт борьбы с ним// Терроризм в современном мире: истоки, сущность, направления и угрозы. Институт социологии РАН, 2003.
43. Косиков И.Г.,Косикова Л.С. Чеченская республика: итоги и проблемы постсоветской социально-экономической эволюции// Российский экономический журнал. 2000. №8., (Статья 1. Этапы деградации); №10 (Статья 2. Экономические аспекты взаимоотношений с федеральным центром);
44. Кашников Б.Н., Чеченский Терроризм. Взлёт и Падение. Российский научный журнал, 2008. №3.,
45. Журавель В.П. Современные проблемы противодействия международному терроризму. Научно-политический журнал обозреватель. 2010г. №5.
46. Постольник В., «Актуальность превентивных мер в борьбе с терроризмом»,2008., Альманах «Профессионал» №3. <http://sec4u.ru/text/1-analist/825/index.shtml>
47. Романченко Н.Е. «Современные террористические организации: Институциональная классификация и векторы противодействия». <https://cyberleninka.ru/article/v/sovremennye-terroristicheskie-organizatsii-institutsionalnaya-klassifikatsiya-i-vektory-protivodeystviya>